პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 260 (9728) | სამშაბათი, 3 ნოემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უზრუნველვყოთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განხორციელება, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი [illegible] ცხოვრების დონის გადაჭრით ამაღლება! მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო [illegible] რების საქონლის წარმოების მკვეთრ აღმავლობას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

ძირეული პრესა დიდი ძალაა

ძირეული პრესა — კედლის გაზეთები და „საბრძოლო ფურცლები“ — განუყოფელია კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვისაგან. მასზე სავსებით ვრცელდება ჩვენი პარტიის დირექტივები და პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მითითებანი ბეჭდვითი სიტყვის როლსა და მნიშვნელობაზე.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელში კედლის გაზეთი დიდი ძალაა. ამ მძლავრი იარაღით პარტიული ორგანიზაცია მასებს რაზმავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, საწარმო-დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ახალი ძალით გაჩაღებისათვის. ამასთან ერთად კედლის გაზეთი ხელს უწყობს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, უქნარებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა გამომზეურებას, მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას.

ბევრმა კედლის გაზეთმა თავისი მაორგანიზებელი როლი განსაკუთრებით გამოავლინა ახლა, როდესაც საბჭოთა ადამიანები თავდადებით იბრძვიან პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების, პარტიისა და მთავრობის სხვა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევა მაზარაძის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კედლის გაზეთი „მექანიზატორი“, რომელსაც მტს-ის მთავარი ინჟინერი ამხ. კ. სამსონია რედაქტორობს. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, ამ კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ სავსებით გარდაქმნა მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად. „მექანიზატორის“ ყოველი ნომერი შინაარსიანი და მიმზიდველია. გაზეთში გამოქვეყნებული წერილები და შენიშვნები მკითხველებს მოუთხრობენ მტს-ის მოწინავე ადამიანების შესახებ, მათი მუშაობის მეთოდებსა და ხერხებზე, მათს გმირულ შრომაზე საკოლმეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამასთან ერთად „მექანიზატორი“ თავის ფურცლებზე დაუნდობლად ამათრახებს იმათ, ვინც არღვევს სახელმწიფო დისციპლინას, აფერხებს საწარმოო დავალებათა შესრულებას, მუშაობაში უშვებს წუნს. კედლის გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მტს-ში მიღებული ახალი ტექნიკის დაუფლების საკითხებს, იგი ყოველთვის გამოდის სატრაქტორო ბრიგადებსა და ტრაქტორისტებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორად.

საწარმო-დაწესებულებათა ძირეული პრესიდან კარგი მუშაობის მაგალითს იძლევიან დედაქალაქის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, ცენტრალური ტელეგრაფის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და სხვათა კედლის გაზეთები და „საველე ფურცლები“. აღნიშნულ საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთების კარგი მუშაობა გამოიხატება არა მარტო მორიგი ნომრების ოპერატიულად გამოშვებითა და წერილების შინაარსიანობით, არამედ პირველ რიგში იმით, რომ ისინი კეთდებიან ავტორთა ფართო აქტივის მონაწილეობით, წარჩინებულ ადამიანთა ხელით. ეს მრავალფეროვანსა და მიმზიდველს ხდის გაზეთებს.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებათა მნიშვნელოვან ნაწილში ძირეული პრესა ჯერ კიდევ არ სარგებლობს საჭირო ყურადღებით. ეს კი იმის შედეგია, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ აფასებენ კედლის გაზეთებისა და „საველე ფურცლების“ მნიშვნელობას, სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ და არ ეხმარებიან სარედაქციო კოლეგიებს მუშაობაში.

მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ ფშავლის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „მოწინავე კოლმეურნე“ (რედაქტორი დ. რამაზაშვილი) უფერულად გამოდის, მასში მოთავსებული წერილები და შენიშვნები ზოგადია, კონკრეტულ ფაქტებს არ ეხება, არავის არ აინტერესებს, ცოცხალ ადამიანებზე იშვიათად წერს. ან კი რა გასაკვირველია, როცა ყოველი ნომრის მასალებს ძირითადად მხოლოდ რედაქტორი დ. რამაზაშვილი წერს! საკმარისია ითქვას, რომ კედლის გაზეთის აგვისტოს ნომერში მოთავსებული 7 წერილიდან ექვსი რამაზაშვილს ეკუთვნოდა. საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია (მიუროს მდივანი ამხ. სეხნიაშვილი) ყოველად დაუშვებელი გულგრილობით ეკიდება ძირეულ პრესას.

ასეთსავე მდგომარეობას ბევრ სხვა კოლმეურნეობასა და საწარმო-დაწესებულებაშიც ვხვდებით. დედაქალაქის სავაჭრო ქსელის უმრავლესობაში თავის დროზე ან სრულებით არ გამოდის კედლის გაზეთები, აბანო-სამრეცხაოებისა და საპარიკმახეროების ტრესტის სისტემაში კედლის გაზეთები ერთფეროვან, შაბლონურ ხასიათს ატარებს, თავის დროზე არ გამოდის.

ძირეული პრესის მუშაობის ასეთი ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ ადგილობრივი გაზეთები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ, სუსტად ეხმარებიან კედლის გაზეთებს. რაიონული გაზეთების მუშაკები იშვიათად მიდიან ადგილებზე ძირეული პრესის მუშაკებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

შემჩნეულია ისიც, რომ რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო გაზეთების ფურცლებზე ნაკლებად იბეჭდება ძირეული პრესის მიმოხილვები, და თუ იბეჭდება, მაშინაც ამ მიმოხილვებს მხოლოდ „დატუქსვის“ ტონი აქვთ, ნაკლებია რჩევა-დარიგება, ამხანაგური მითითება ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რაიონულ და საქალაქო გაზეთებს მოეთხოვებათ მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინონ ძირეული პრესისადმი. მათს ფურცლებზე სისტემატურად უნდა იბეჭდებოდეს წერილები და მიმოხილვები მოწინავე კედლის გაზეთების მუშაობის დადებითი გამოცდილების, შემჩნეულ ნაკლოვანებათა და მათი გამოსწორების ღონისძიებათა შესახებ.

პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, მათმა აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებებმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ ძირეული პრესის საკითხებს. არ კმარა მარტო კედლის გაზეთების რედაქტორთა სემინარების ან მათთვის ინსტრუქტაჟის მოწყობა. ამასთან უნდა მოწმდებოდეს სარედაქციო კოლეგიების მუშაობა, კედლის გაზეთებში გამოქვეყნებული წერილებისა და შენიშვნების ხარისხი, მათი ქმედითობა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების დახმარება და ხელმძღვანელობა გაზეთისადმი. საკითხის მხოლოდ ასეთი შესწავლით, ბიუროს სხდომებზე მისი პერიოდულად განხილვით უნდა მუშავდებოდეს ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კედლის გაზეთი კოლექტიური შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერებით მივაღწიოთ გაზეთების მუშაობაში მასების ფართო მონაწილეობას, კომუნისტური მშენებლობის საქმეში მისი კოლექტიური, პროპაგანდისტული და ორგანიზატორული როლის შემდგომ ამაღლებას! — ასეთია ამოცანა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. დ. პოპოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ალექსი დიმიტრის-ძე **პოპოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 31 ოქტომბერი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

უკრაინელი და ქართველი მეჯალურგეების მეგობრობა

დნეპროძერჟინსკი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ძერჟინსკის სახელობის ქარხნის მეტალურგები ძმური მეგობრობით არიან დაკავშირებული თავიანთ ამხანაგებთან — ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხნის მუშებთან. ომისშემდგომ წლებში დნეპროძერჟინსკელებმა საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის პირმოსათვის მოამზადეს ასობით კვალიფიციური მეფოლადე და მგლინავი.

ახლა ქარხნის ბრძმედების საამქროში საწარმოო პრაქტიკას გადის ამიერკავკასიის ქარხნის საბრძმედე წარმოების მებრძმედეების, მეგაზეებისა და სხვა სპეციალისტების დიდი ჯგუფი. უკრაინელი მეტალურგები ხალისით უზიარებენ მათ თავიანთ მრავალი წლის გამოცდილებას. ბრძმედის უფროსმა მეგაზემ მ. მენცელმა მოკლე ვადაში შეასწავლა რ. ქათამაძეს ავტომატური ხელსაწყოებით ბრძმედის სწორი ტემპერატურული და ბერვის რეჟიმის წარმოების ოსტატობა. უკრაინელი ამხანაგების დახმარების მეოხებით მ. პიკაძე წარმატებით ასრულებს უფროსი მებრძმედის სამუშაოს.

გუშინ უფროსი მებრძმედის მეთოდე ჩუიკოს ბრიგადამ ბრძმედის სიმძლავრის გამოყენების შესანიშნავ კოეფიციენტს მიაღწია. იგი თვითეულ მეათე ტონა თუჯს დავალების დამატებით აღნობდა. თუჯის გამოშვების ყველა ოპერაციას ახორციელებდა ამხ. ჩუიკოს მოწაფე, მომავალი მებრძმედე ა. პარშიშვილი.

მოსკოვიდან გაემგზავრა ბულგარეთის ოპერისა და ბალეტის თეატრი

სამი კვირის განმავლობაში მოსკოვში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ბულგარეთის ოპერისა და ბალეტის თეატრის (ქალაქი სოფია) გასტროლები.

თეატრის კოლექტივმა გამართა 12 წარმოდგენა. მან საბჭოთა მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები.

30 ოქტომბერს საღამოს თეატრის კოლექტივი სამშობლოში გაემგზავრა. კიევის ვაგზალზე სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და მოსკოვის თეატრების წარმომადგენლებმა. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა იაპონიის წითელი ჯვრის დელეგაცია

სსრ კავშირიდან იაპონიაში იმ იაპონელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ამნისტიის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად ან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განჩინებით ვადამდე განთავისუფლებულ იქნენ მათ მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულისათვის მისჯილი სასჯელის მოხდისაგან, აგრეთვე იმ სამხედრო ტყვეებისა, რომლებმაც მოიხადეს სასჯელის ვადა, მოსკოვს ჩამოვიდა იაპონიის წითელი ჯვრის დელეგაცია იაპონიის წითელი ჯვრის თავმჯდომარის ტაგაუეგუ სიმაძუს მეთაურობით.

მოლაპარაკება რეპატრიაციის საკითხზე იწარმოებს სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების კავშირის აღმასკომსა და იაპონიის წითელი ჯვრის აღნიშნულ დელეგაციას შორის. (საკდესი).

მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

31 ოქტომბერს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა.

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრი ამხ. ა. ნ. კოსიგინი თავის მოხსენებაში დაწვრილებით შეეხო მსუბუქი მრეწველობის ამოცანებს და იმ ღონისიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულება.

ამხ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ფართო მოხმარების ძირითადი საქონლის გამოშვების დარგში შესრულდება ვადამდე. ამრეშუმის ქსოვილის წარმოების მხრივ მრეწველობამ უკვე მიაღწია იმ დონეს, რაც დაგეგმილია 1955 წლისათვის. შალის ქსოვილების, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვების ხუთწლიანი დავალება შესრულდება ოთხ წელიწადში. უახლოეს ორ წელიწადში ბამბეულის გამომშავება გადიდდება 1 მილიარდი მეტრით. ამრეშუმის ქსოვილების გამოშვება 1956 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდება ერთიხუთად და მეტად. შემდგომ განვითარდება შალის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, ტანსაცმლისა და სხვა ნაწარმის წარმოება.

ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების დიდი პროგრამის განსახორციელებლად შენდება დაახლოებით 400 საწარმო, წარმოებს 800-ზე მეტი ფაბრიკისა და კომბინატის რეკონსტრუქცია და გაფართოება. 1954 წელს კაპიტალდაბანდებათა მოცულობა ერთიორად და მეტად გადიდდება მიმდინარე წელთან შედარებით. დაიწყება კიდევ ასი ახალი დიდი საწარმოს მშენებლობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ საქონლის წარმოების გაფართოებას, რომელზეც მოსახლეობაში ყველაზე მეტი მოთხოვნაა, როგორიცაა: წმინდა შალის ქსოვილები, მელანჟისა და ხაოიანი ბამბეული, ფლანელი, შტაპელის ტილო, რანტიანი ფეხსაცმელი, გაუმჯობესებული ასორტიმენტის შეკერილი ნაწარმი.

ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა არსებითი ნაკლოვანებანი მთელი რიგი საწარმოების მუშაობაში, რომლებიც მთლიანად ვერ იყენებენ წარმოების შინაგან რეზერვებს. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა გავადიდოთ მოწყობილობის წარმადობა, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, გავავრცელოთ წარმოების ნოვატორთა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილება.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 50-მდე კაცი. მათ შორის — სტალინური პრემიის ლაურეატები ჩუტკიხი და კოვალოვი, მოკავშირე რესპუბლიკების ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრები: რუსეთის სფსრ რესპუბლიკისა — ამხ. რიბაკოვი, უკრაინის სსრ — ამხ. ესიპენკო, ლატვის სსრ — ამხ. ფილიპავიჩიუსი, ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. სმირნოვი, კირკჯის ბრეშუმის კომბინატის დირექტორი ამხ. მარკოვი, მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიზის კომუნის“ ოსტატი ამხ. სავლიევი, მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კორობოვა, ლენინგრადის ფაბრიკა „რაბოჩის“ მქსოველი ამხ. მატეერკოვა და სხვები.

კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ მსუბუქი მრეწველობის მუშაკები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფა, გამოეხმაურნენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პირნათლად შეასრულონ გადაუდებელი და სასტიკი ამოცანა — ორი-სამი წლის განმავლობაში მკვეთრად აამაღლონ მოსახლეობის უზრუნველყოფა ქსოვილებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და მასობრივი მოთხოვნის სხვა საბრეწველო საქონლით.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დუთმეს საწარმოთა მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, მოწინავე ტექნიკით მათ აღჭურვას, კადრების მომზადებას საკითხებს.

სეროიზული პრეტენზიები წარუდგინეს მანქანათმშენებლებს, რომლებიც საკმაოდ არ უზრუნველყოფენ მსუბუქ მრეწველობას მოწყობილობით, აგრეთვე ქიმიურ მრეწველობას, რომელიც ნაკლებ აკმაყოფილებს მსუბუქ მრეწველობის მოთხოვნილებას ღია ფერის და ჭკვიდრი საღებავებისა და სხვა ქიმიკატებზს მხრივ, რომლებიც საჭიროა ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გასაუმჯობესებლად.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრმა ა. ნ. კოსიგინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ა. ი. მიქოიანმა.

სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

31 ოქტომბერს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირი განიხილავს სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობს 1.200-ზე მეტი კაცი — მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, წარმოების სხვადასხვა დარგის საწარმოთა ნოვატორები, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრები, მთავარსამმართველოთა უფროსები, საწარმოთა დირექტორები, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. მიქოიანი.

სასურსათო საქონლის მრეწველობის განვითარების, კვების პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრმა ამხ. ვ. პ. ზოტოვმა.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ხორცკომბინატის დირექტორმა ამხ. ბურცევმა, ტრესტ „მურმანთევზის“ სატრალერო ფლოტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. კოპაჩმა, „ზაგოტსკოტის“ როსტოვის საოლქო კანტორის მმართველმა ამხ. აპარინმა, კურსკის ჭარხალშაქრის ტრესტის მმართველმა ამხ. მოსკალენკომ, კრასნოდარის მეთევზე კოლმეურნეობათა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ვლასოვმა და სხვებმა.

თათბირი განაგრძობს მუშაობას.

(საკდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინელ რკინიგზელთა შრომითი წარმატებანი

შანხაი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინეთის რკინიგზელები იბრძვიან ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. გაზეთ „ნანფანჟიბაოს“ ცნობით, კანტონის რკინიგზის სამმართველომ ვადაზე 71 დღით ადრე შეასრულა ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრების გადაყვანის წლიური გეგმა. შუა ოქტომბრისათვის ტვირთის გადაზიდვის გეგმა შესრულებული იყო 100,4 პროცენტით, ხოლო მგზავრების გადაყვანისა — 108 პროცენტით. კანტონელმა რკინიგზელებმა ვალდებულება აიღეს სახელმწიფოს მისცენ 500 მილიარდი იუანი ზეგეგმითი დაგროვება. ამ ვალდებულებას ისინი წარმატებით ასრულებენ.

შრომის საბჭოთა მეთოდების გამოყენება რუმინეთის საწარმოებში

ბუქარესტი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ქარხანა „ინდუპენდენცა“ ამზადებს მოწყობილობას რუმინეთის ქვანახშირის მრეწველობისათვის. დიდი ოქტომბრის მოახლეებული დღესასწაული ქარხნის კოლექტივმა დიდი საწარმოო წარმატებით აღნიშნა. ამ დღეებში ქარხანამ ვადამდე დაამთავრა 1953 წლის გეგმის შესრულება. ამ წარმატებას, იუწყება რუმინეთის დეპეშათა სააგენტო, საწარმომ მიაღწია შრომის მოწინავე საბჭოთა მეთოდების ფართოდ გამოყენების შედეგად. „ინდუპენდენცის“ ბევრმა მუშამ აითვისა ლითონის ჩქარსანული ჭრის მეთოდები, რამაც ქარხანას საშუალება მისცა უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში დაზოგა 4.100 ათასზე მეტი ლეი.

სახელმწიფო დიდად ზრუნავს მუშების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. წელს მათთვის უკვე აიგო 59 სახლი. ამჟამად მიმდინარეობს კიდევ 35 სახლის მშენებლობა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარება ბულგარეთში

სოფია, 31 ოქტომბერი. (საკდესი.) ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ბულგარეთს სხვა ქვეყნებიდან შეჰქონდა არა მარტო რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები, არამედ წვრილი ინვენტარიც — გუთნები, ფოცხები, კულტივატორები და სხვ. ახლა ბევრ სასოფლო-სამეურნეო მანქანას უშვებენ ბულგარეთის მანქანათმშენებელი ქარხნები.

გიორგი დიმიტროვის სახელობის ქარხანამ აითვისა 26 ახალი სახეობის სასოფლო-სამეურნეო მანქანის, მათ შორის ტრაქტორის ძნისსაკონი, ტრაქტორის მწკრივად სათესი, ცხენის სამკელის და სათიბი მანქანების წარმოება. მანქანათმშენებელი ქარხანა „ბოსავალი“ უშვებს თესლის საწმენდ და ბამბის სათეს მანქანებს. ანტონ ივანოვის სახელობის ქარხანა და სათადარიგო ნაწილების ქარხანა აწარმოებენ ტრაქტორის, ავტომობილისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალებს.

მომდინარე წლის ზაფხულს ბულგარეთის მინდვრებში გავიდა ბულგარეთში გაკეთებული პირველი კომბაინი. გამოშვებულ იქნა ახალი ტიპის სათესი მანქანები, თხრილის გასაყვანი მანქანები და ასე შემდეგ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროდუქციის მოცულობა 1951 წელს 1948 წელთან შედარებით გადიდდა 190 პროცენტით, ხოლო 1952 წელს — თითქმის 300 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, თუ 1948 წელს ერთი სალეწი მანქანის წარმოებაზე იხარჯებოდა 4.500 სამუშაო საათზე მეტი, ახლა მის გამოშვებაზე იხარჯება 1.400 საათი. მწკრივად სათესს ნაცვლად 220 საათისა უშვებენ 66 საათში.





1. მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მებოსტნეობის საცდელი სადგურის კოლექტივი დიდ მუშაობას ეწევა ბოსტნეულისა და კარტოფილის უხვი მოსავლის მიღების საშუალებათა გამოსანახავად. ამ დარგში კარგ შედეგებს მიაღწია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. კ. შაუმიანმა. მან ერთად დარგო კარტოფილის საადრეო და საგვიანო ჯიშების ტუბერები. ასეთი რგვის დროს ჯერ სწრაფად იზრდება საადრეო კარტოფილის ფოჩები, შემდეგ ისინი ჭკნება და მათ ადგილას იზრდება საგვიანო ჯიშის კარტოფილის ფოჩები. კარტოფილი თანმიმდევრობით იკეთებს ტუბერებსაც. წელს ი. კ. შაუმიანმა ჰექტარზე 140 ტონა კარტოფილი მიიღო. **სურათზე:** ი. კ. შაუმიანი სინჯავს საცდელ ნაკვეთზე მიღებულ კარტოფილის ტუბერებს. 2. გროზნოს ოლქში წელს პირველად იყენებენ სიმინდის ახალ კომბაინებს. მეედურეჩიეს მტს-ის წარჩინებულმა კომბაინერმა ი. კ. ეუკოვმა ახალი მანქანით შრომის დიდ ნაყოფიერებას მიაღწია. მან ვალდებულება იკისრა მოსავალი აიღოს სულ ცოტა 200 ჰექტარზე. **სურათზე:** სიმინდის ახალი კომბაინი მეედურეჩიეს რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მინდორში. 3. ვორონეჟის ოლქი. ორგანიზებულად მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება დობრინკის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესში“. უხვი მოსავალი (550 ცენტნერი ჰექტარზე) მოიყვანა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოციალისტური შრომის გმირის, სტალინური პრემიის ლაურეატის ე. ს. ბასკაკოვას რგოლმა. **სურათზე:** მერგოლური ე. ს. ბასკაკოვა (მარცხნივ) და კოლმეურნე პ. ი. პოპოვა სინჯავენ შაქრის ჭარხალს.

ფოტო ფ. ზადორინის, კ. ბოგდანოვისა და ა. ზენინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის გზა პროგრესისა და ხალხთა ბედნიერების გზაა

აკადემიკოსი ი. მინცი.

მხოლოდ ოცდათექვსმეტმა წელმა განვლო იმ მომენტიდან, როდესაც „ავრორის“ ზალპმა მსოფლიოს აუწყა ახალი საზოგადოებრივი წყობილების დაბადება. და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი სისტემა ასეთ მოკლე ისტორიულ ვადაში სავსებით დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში და დაამტკიცა თავისი გადამწყვეტი უპირატესობანი კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

მსოფლიომ თვალნათლივ დაინახა უდიდესი, ყოვლისმძლე შემოქმედებითი ენერგია მშრომელი მასებისა, რომლებიც კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლდნენ. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი მოღვაწეობის უდიდესი ნაყოფი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რა აფრაცხელ სიკეთეს უქადის სოციალიზმი კაცობრიობას და საზოგადოების რა უმაგალითო პროგრესის შესაძლებლობას იძლევა იმპერიალიზმის უღლის მოსპობა!

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობის უკიდურესი გამწვავება, მისი უკანასკნელი სტადია — „მომაკვდავი კაპიტალიზმი“. იმპერიალიზმი იბრწნება და თავის გარშემო ავრცელებს ლპობასა და მარაზმს, სისხლისმღვრელი დამპყრობლური ომების უფსკრულში აგდებს მილიონობით ადამიანს, გამაჩანაგებელი კრიზისებით ახუსტებს ქვეყნებს, მშრომელებისათვის მოაქვს უმუშევრობისა და სიღატაკის საშინელებანი. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ერთი კრიზისის, სახელდობრ 1929-1933 წლების კრიზისის პერიოდში, სამრეწველო პროდუქცია შემცირდა ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის 50 პროცენტით, საგრანეფაში — 30 პროცენტით, ხოლო ინგლისში — $^1/_4$-ით. თუჯის წარმოების მხრივ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკან გადაიწიეს 42 წლით, ხოლო ინგლისმა — 76 წლით.

ისტორიის თვით განვითარებამ მთელი კაცობრიობის წინაშე დააყენა საკითხი: ან ლეგბოდეს და სულს ღაფავდეს იმპერიალიზმის რკინის ქუსლქვეშ, ან მოიკრიფოს ძალები, გაწყვიტოს იმპერიალისტური ჯაჭვი და გავდეს ისტორიული პროგრესის ფართო გზაზე.

მსოფლიო-ისტორიული გმირობა, რომელმაც კაცობრიობას ხსნის ერთადერთი გზა გაუხსნა, მოხდა რუსეთში: რუსეთის პროლეტარიატმა, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით მსოფლიოში პირველმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი. და ეს შემთხვევითი როდი იყო. ობიექტურად არსებულმა პირობებმა რუსეთი გადააქციეს რევოლუციის ცენტრად, ლენინიზმის სამშობლოდ.

რუსეთის იმპერიალიზმს ჰქონდა თავისი თავისებურებანი, რომლებითაც იგი განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმისაგან. რუსეთში ერთმანეთში იყო გადახლართული საფინანსო კაპიტალის უახლესი ფორმები და ჩამორჩენილი ნახევრადბატონყმური ურთიერთობა. რუსეთში წარმოდდა კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში ცარიზმის — მეგატონე მემამულეთა დიქტატურის არსებობის პირობებში, მემამულეებისა, რომლებიც ყოველნაირად იცავდნენ მემამულურ მეწათმფლობლობას. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ იყო დარჩენილი ისე მრავლად ბატონყმობის ნაშთები, როგორც მეფის რუსეთში.

რუსეთის მუშათა კლასს სტანჯავდა კაპიტალიზმის განვითარებაც და მისი არასაკმაო განვითარებაც. სოფლად გლეხებს სტანჯავდა ნახევრადბატონყმური ჩაგვრაც და კაპიტალისტური ექსპლოატაციაც. ცარიზმმა რუსეთი გადააქცია „ხალხთა საპყრობილედ“, სასტიკად ახშობდა რა ყოველგვარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ჩაგრული ერების მშრომელები რუსეთში ორმაგად იტანჯებოდნენ: მათ ექსპლოატაციას უწევდა როგორც გაბატონებული ერის ბურჟუაზია, ისე თავისი ეროვნული ბურჟუაზია და ფეოდალები. მეფის რუსეთი, ი. ბ. სტალინის განსაზღვრით, ყოველგვარი ჩაგრის, როგორც კაპიტალისტური, ისე კოლონიური და სამხედრო ჩაგვრის კერა იყო.

ცარიზმის ანტისახალხო პოლიტიკამ ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო იმპერიალიზმის ნახევრადკოლონიად გადააქცია. ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა სიფრთხე კოლონიად გადაქცევისა ცარიზმისა და ბურჟუაზიის ანგარებითი პარპაშის შედეგად. კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა, როგორც კლასობრივ, ისე ეროვნულ წინააღმდეგობათა მკვეთრმა გამწვავებამ რუსეთში გამოიწვია ის, რომ რუსეთის იმპერიალიზმი აღმოჩნდა ყველაზე სუსტი რგოლი მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვში. რუსეთი აღმოჩნდა სხვა ქვეყნებზე უფრო ახლო რევოლუციასთან.

ერთ კვანძად შეაგროვა რა რუსეთში იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობა, ისტორიამ მათი გადაჭრისათვის მძლავრი იარაღიც მოამზადა: რუსეთში გაჩაღდა ღრმა რევოლუციური მოძრაობა.

რუსეთში გაიზარდა და განვითარდა პროლეტარიატი, რომელმაც უმდიდრესი რევოლუციური გამოცდილება შეიძინა. რუსეთის მუშათა კლასი რევოლუციური მოძრაობის ბეგემონი, ყველა ჩაგრული ერის ბედკრული გლეხობისა და მშრომელთა ხელმძღვანელი გახდა. რუსეთის მუშათა კლასმა სხვა კლასებზე ადრე შექმნა თავისი პარტია. ეს იყო ახალი ტიპის პარტია, რომელიც შეიარაღებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიით, მომზადებული იყო იმპერიალიზმზე ძლევამოსილი ეერიშის მიტანის ამოცანებისათვის. რუსეთის მუშათა კლასმა ისტორიაში პირველად უმაგალითოდ ფართო მასშტაბით გამოიყენა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა როგორც კაპიტალისტების წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა. რუსეთის ხალხის მასებში იშვა რევოლუციური ხელისუფლების ორგანიზაციის ახალი ფორმა — საბჭოები. რუსეთის მუშათა კლასმა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა გაამდიდრა სამი რევოლუციის გამოცდილებით. სწორედ რუსეთში ისტორიაში პირველად მომწიფდა ის საზოგადოებრივი ძალა — პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, — რომელმაც გატეხა დრომოჭმული კლასების წინააღმდეგობა და გამარჯვებამდე მიიყვანა მშრომელები.

ასეთია პირობები, რომლებმაც რუსეთის პროლეტარიატი დააყენეს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში, რომლებმაც შექმნეს რუსეთში კაპიტალის ბატონობის დამხობის შესაძლებლობა. მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ გამარჯვების შესაძლებლობა თავისთავად ჯერ კიდევ არ არის გამარჯვება. საჭიროა ამის უნარი, რომ გამოვიყენოთ ყველა მონაცემი, რათა შესაძლებლობა სინამდვილედ გადაიქცეს. საჭირო იყო რევოლუციური პარტია, რომელიც შეაერთებდა რუსეთში შექმნილ მთელ ძალებს და წაიყვანდა მათ იმპერიალისტური ჯაჭვის გასარღვევად. პროლეტარიატის წინაშე, მთელი მოწინავე კაცობრიობის წინაშე ლენინის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან იმპერიალიზმის ეპოქის ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით გენიალურად განავითარა და გაამდიდრა მარქსიზმი, დაასაბუთა ახალი ტიპის პარტიის აუცილებლობა და შექმნა კომუნისტური პარტია, რომელმაც უნარი აქვს გაუძღვეს ხალხის მასებს იმპერიალიზმზე იერიშის მისატანად და მიაღწიოს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას.

* * *

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ შექმნა, როგორც მკაფიოდ განსაზღვრა ი. ბ. სტალინმა, „საქვეყნოდ აშკარა ფორუმი“, რომელზეც მთელი მსოფლიოს წინაშე ხდება ახალი საზოგადოებრივი წყობილების წარმატებებისა და მიღწევების დემონსტრირება. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა წარმოადგენს აგრეთვე სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის ცხოველმყოფელი ძალის შემოწმებასა და დადასტურებას. კაცობრიობას თვალსაჩინოდ შეუძლია შეადაროს ორი საზოგადოებრივი წყობილება და დარწმუნდეს ერთის უდიდეს უპირატესობაში და მეორის განუკურნებელ მანკიერებაში.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოიწვია ძირეული მობრუნება ჩვენი ქვეყნის ბედში. რუსეთის ხალხის მასებმა, რომლებიც პროლეტარიატის გარშემო დაირაზმნენ კომუნისტების ხელმძღვანელობით, სამუდამოდ დაამხეს ექსპლოატატორები, რომლებიც წარსულში რუსეთის ჩამორჩენისა და სისუსტის ძირითადი მიზეზი იყვნენ. რევოლუციამ მოსპო ომის საფრთხე, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები გადაქცეულიყვნენ საერთაშორისო იმპერიალიზმის კოლონიურ მონებად, და ჩვენი სამშობლო იხსნა ომისაგან, რომ სათამაშო გამხდარიყო იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელში.

დიდმა რევოლუციამ შესაძლებელი გახადა, რომ წინათ ჩამორჩენილი კერძომესაკუთრული რუსეთი ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით გადაქცეულიყო მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარტიამ გამოაცხადა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება საბჭოთა კავშირში 29-ჯერ გაიზარდა. ისტორიაში უმაგალითოა საზოგადოების ასეთი უაღრესად სწრაფი განვითარება აღმავალი ხაზით.

ოქტომბრის რევოლუციის ძალა, მისი ძლევამოსილება იმაში მდგომარეობს, რომ მან მშრომელებისათვის უზრუნველყო დიდი პოლიტიკური თავისუფლებანი და მატერიალური სიკეთენი.

საბჭოთა ხალხის მიერ გაკვალული გზით მიდიან დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ყველა მშრომელნი. ევროპაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში წარმატებით შენდება სოციალიზმი.

დიდმა ჩინელმა ხალხმა, რომელსაც აღაფრთოვანებს ოქტომბრის რევოლუციის წარმატებები, დაამხო უცხოელთა უღელი, ბოლო მოუღო ფეოდალების მიერ ჩაგვრას, მოიშორა პარაზიტები — საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ლიკვიდირებულია უმუშევრობა, განუწყვეტლივ იზრდება ხალხის კეთილდღეობა.

დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკისაგან განსხვავებით, იმპერიალიზმი შიმშილსა და სიკვდილს განუმზადებს ერის მშვენებასა და ძალას — მუშებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამ მილიონზე მეტი მთლიანად უმუშევარია და ათ მილიონზე არანაკლები ნაწილობრივ უმუშევარი. მოსახლეობის თითქმის მესამედი შიმშილობს, ხოლო მოსოპოლისტებს თავი მოაქვთ „ცხოვრების ამერიკული წესით“ და მთელ მსოფლიოს უქადიან ამ წესის თავსმოხვევას. იტალიაში ორ მილიონზე მეტი მთლიანად უმუშევარია და შეუდარებლად უფრო მეტი ნაწილობრივ უმუშევარი, დასავლეთ გერმანიაში თითქმის სამი მილიონი სავსებით ან ნაწილობრივ უმუშევარია, იაპონიაში თითქმის ათი მილიონია უმუშევარი. ინდოეთში სულ ცოტა ორმოცდაათ მილიონ კაცს არა აქვს ცოტად თუ ბევრად მყარი სამუშაო, ინდონეზიაში თხუთმეტ მილიონს, ირანში დაახლოებით ერთ მილიონ კაცს არა აქვს სამუშაო.

ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა ისეთი სახელმწიფო წყობილება, სადაც განვითარება მიმდინარეობს არა ერთი ხალხის მიერ სხვა ხალხების ჩაგვრისა და დამონების გზით, არამედ სოციალიზმის მშენებლობაში ყველა ხალხის თანასწორუფლებიანი მონაწილეობის გზით. პროლეტარულმა რევოლუციამ შესაძლებელი გახადა არა მარტო განხორციელებულიყო ერთი თანასწორუფლებიანობა, — თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მონაპოვარი, რომელიც არც ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოში არ არსებობს, — არამედ აგრეთვე უზრუნველყო, რომ წინათ ჩაგრული ერების კულტურულად და მეურნეობრივად ჩამორჩენილმა მშრომელთა მასებმა ფაქტიურად ისარგებლონ თანასწორუფლებიანობით. საბჭოთა ხელისუფლებამ წარსულში ჩამორჩენილი ხალხები აიყვანა მოწინავე ერების დონემდე. ასეთი ამოცანა არათუ არ გადაუჭრია, არამედ არასოდეს არც დაუსახავს თავისთვის არც ერთ ბურჟუაზიულ მთავრობას მსოფლიოში.

იმპერიალიზმის ბანაკში ბატონობს მგლური კანონი, რომლითაც კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები განწირული არიან სიღატაკის, შიმშილისა და სიკვდილისათვის. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მოსახლეობა შეადგენს ერთ მილიარდზე მეტ კაცს — კაპიტალისტური სამყაროს მთელი მოსახლეობის 70 პროცენტს, ხოლო ამ ქვეყნების სამრეწველო წარმოება — კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო წარმოების მხოლოდ 5 პროცენტს. იმპერიალისტებმა კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები უმაგალითო ძარცვის ობიექტად გადაქცეს. მარტო ომისშემდგომი ხუთი წლის განმავლობაში ამერიკელმა მონოპოლისტებმა საზღვარგარეთ — უმთავრესად კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში დაბანდებულ თავიანთ კაპიტალებზე შვიდნახევარი მილიარდი დოლარი მოგება მიიღეს.

სოციალისტურმა წყობილებამ კაცობრიობას უჩვენა ნიმუში სახელმწიფოთა შორის ახალი ურთიერთობისა, რომელიც აგებულია ურთიერთპატივისცემის ბაზაზე და რომლისთვისაც უცხოა ხალხთა დაპყრობა და დამონება ან უცხო ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფა. კაპიტალისტურ ქვეყნებთან თავის ურთიერთობაში საბჭოთა სახელმწიფო ემყარება ლენინის იმ იდეას, რომ შესაძლებელია ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება.

ოქტომბრის რევოლუციით დაწყებული, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც იშვა აგრესიასთან ბრძოლის დროშით, თანმიმდევრულად და გაბედულად ეწევა ბრძოლას მშვიდობისა და ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა დროებითი, გარდამავალი ინტერესებით როდია გამოწვეული: იგი ორგანულად სჩვევია სოციალიზმს, იგი შეესაბამება სსრ კავშირის მშრომელთა ყველაზე ღრმა ინტერესებს. საბჭოთა ხალხს ინტერესები ემთხვევა და არ შეიძლება არ ემთხვეოდეს ინტერესებს ყველა ქვეყნის მშრომელებისა, რომელნიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი მტაცეცი მშვიდობით, თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით. მშრომელი კაცობრიობა ზავის შესახებ პირველ საბჭოთა დეკრეტს სწორედ ამიტომ შეხვდა ასეთი ენთუზიაზმით. მშვიდობის იდეა, ეუფლება რა მასებს, მძლავრი მატერიალური ძალა ხდება. მსოფლიოს ხალხები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი დაპირებანი შეესაბამება ის ნამდვილ განზრახვებს. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის განცხადებებს, რომ შესაძლებელია ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა, მხარს უჭერს კაცობრიობის უმრავლესობა.

საბჭოთა კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში, რომლებმაც მშვიდობისათვის ბრძოლა თავიანთი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად გაიხადეს, ეროვნულ სიმდიდრეს იყენებენ ხალხის საკეთილდღეოდ. იმპერიალიზმის ბანაკში კი აგრესიული ომის მომზადების მიზნით უკანასკნელ ძაფამდე ძარცვავენ მშრომელებს, უბიძგებენ მათ სიღატაკის უფსკრულში. ხალხის აღშფოთებული მასები სულ უფრო მკვეთრად გამოთქვამენ თავიანთ გულისწყრომას იმპერიალიზმის მიმართ, რომელსაც შიმშილი და სიკვდილი მოაქვს კაცობრიობისათვის. იმპერიალისტ მჩაგვრელებს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ.

იმპერიალიზმის დამცველები, რომლებიც შეძრწუნებული არიან ხალხთა მზარდი რისხვით, გაჰყვიროიან „რუსეთიდან რევოლუციის იმპორტზე“. გერმანული ფაშიზმის წინამორბედის, გერმანელ გენერალ ჰოფმანის მსგავსად, რომელიც გაიძახოდა, მსოფლიოს ყველა საზოგადოებრივ მოძრაობაში „მოსკოვის ხელს“ ვხედავო, აგრესიის იდეოლოგები გაჰყვიროიან „საბჭოების ხრიკებზე“. გონებადაკარგული იმპერიალისტი პოლიტიკოსები „საბჭოთა ხელს“ მიაწერენ მოსკოვიდან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ფილიპინის კუნძულებზე პარტიზანების მამაცურ ბრძოლასაც, იმასაც, რომ მშრომელები მალაიაში უარს ამბობენ მოთმინებით აიტანონ იმპერიალისტთა მიერ ჩაგვრა და აბუჩად აგდება, კენიის ზანგების ბრძოლასაც თავიანთი მიწის ნაგლეჯის შენარჩუნებისათვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპერიალისტებს ელანდებათ ხან „მფრინავი თეფშები“, ხან მითიური თვითმფრინავები, რომლებიც სიბნელეში თითქოს ქარაშხალივით გადაუქროლებენ ხოლმე ამერიკას და რომლებსაც თითქოს საფრთხე მოაქვთ მათი წყობილებისათვის.

ფორეს ტოლოს მიმდევართა ეს ბოდვა მხოლოდ ამყოვანებს გახრწნილი სამყაროს იდეოლოგთა შიშს. რევოლუციის იმპორტირება არ ხდება მსგავსად იმისა, როგორც ზოგიერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოს ფარულად შეაქვს იარაღი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რათა განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნაშთები აამხედროს კანონიერ მთავრობათა წინააღმდეგ. რევოლუცია ერთი ქვეყნიდან მეორეში არ გადადის მსგავსად იმისა, როგორც ხდება საზღვარზე გადაყვანა ჯაშუშებისა და დივერსანტებისა ამერიკის მთავრობის მიერ ოფიციალურად გაღებული სახსრებით. თვითონ ცხოვრებამ, საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობების განვითარების ისტორიამ, რომელმაც დაადასტურა ოქტომბრის მიერ ნაჩვენები გზის სისწორე, დაუსახა კაცობრიობას ამოცანა დაადგეს ამ გზას.

მარქსიზმის დიდი ფუძემდებელი თითქმის ასი წლის წინათ წერდა, რომ კაცობრიობა ყოველთვის ისახავს მხოლოდ ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა მას ძალუძს; და თვით ამოცანაც მხოლოდ მაშინ დადგება ხოლმე, როცა მისი გადაჭრის მატერიალური პირობები უკვე არსებობენ ან შექმნის პროცესში არიან.

სულ უფრო და უფრო მწიფდება ძალები, რომლებიც საჭიროა კაცობრიობის წინაშე ამყარად მდგომი ამოცანის გადასაჭრელად. ახლა უკვე არა მცირერიცხოვანი ჯგუფები, როგორც ეს ოცდაათი წლის წინათ იყო, არამედ 25 მილიონზე მეტი კომუნისტი, რომლებიც თავიანთი ხალხების გონებას, ღირსებასა და სინდისს შეადგენენ, მიუთითებენ მასებს გზას დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. კომუნისტებმა — ხალხის ერთგულმა შვილებმა — აიღეს ადამიანებისა და ერების თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის დროშა, დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა, რომელიც ბურჟუაზიამ გადააგდო. მუშათა და კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებმა — თავიანთი ქვეყნების პატრიოტებმა — აიღეს იმპერიალისტების მიერ დაუნდობლად და დანაშაულებრივად გათელილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლის დროშა. ამ გაშლილი დროშებით მიდის კაცობრიობა თავისი განთავისუფლებისაკენ.

განთავისუფლებისა და პროგრესის ძალები თავს იჩენენ ფრანგი პროლეტარების დიდ გაფიცვებშიც, იმ მძლავრ გაფიცვებშიც, რომლებიც იტალიასა და იაპონიაში ხდება, ვიეტნამის, მალაიისა და სხვა ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაშიც.

თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სულ უფრო ძლიერდება ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანობა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შედის 79 ქვეყნის 80 მილიონზე მეტი მუშა. ქალთა მსოფლიო დემოკრატიული ფედერაცია აერთიანებს 66 სხვადასხვა ქვეყნის 140 მილიონ ქალს. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია წარმოადგენს 83 მილიონ ახალგაზრდა მებრძოლს 90 ქვეყნიდან.

იმ გზის სათავეში, რომელსაც კაცობრიობა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მიჰყავს, დგას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

* * *

სასიცოცხლო ძალებითა და ენერგიით აღსავსე საბჭოთა ხალხი, რომელიც ამაყობს თავისი ისტორიული გამარჯვებებით, წარმატებით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური მეურნეობის შემდგომი განვითარება და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობა. ეს ღონისძიებანი, რომლებიც ყოველმხრივ გაშუქებულია ამხ. გ. მ. მალენკოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში და პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, საბჭოთა ადამიანებს უჩვენებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებაში ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის სწორ გზას.

ყოველ ახალ წელიწადს საბჭოთა ხალხი სულ უფრო სრულად და ღრმად გრძნობს იმ ისტორიული გამარჯვების კეთილმყოფელ შედეგებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოპოვებულ იქნა 36 წლის წინათ.

„პრავდა“ 31/X.

თბილისი. მაკარონის ფაბრიკის კოლექტივმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავისათვის ცალკე კოლოფებში გამოუშვა მაკარონის ნაწარმი.
სურათზე: ფაბრიკის მუშები ნათელა გოგოლაშვილი და ეუეუნა ჩაჩანიძე, რომლებმაც თავი ისახელეს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.
ფოტო რ. მორჩილაძისა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მოწინავე შახტში

ტყიბული. (საკ. კორ.). ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნავენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოწინავე მეშახტეები ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეთექვსმეტე წლისთავისათვის მზადების დღეებს.

ყოველდღიურად მზარდი რაოდენობით იძლევიან ქვანახშირს გელათელი მეშახტეები. მათ 20 ოქტომბერს შეასრულეს ქვანახშირის ამოღების ათი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ქვანახშირი მიაწოდეს მრეწველობას.

განსაკუთრებით დაწინაურდა ის საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც სამთო ტექნიკოსი პ. ჩიხლაძე ხელმძღვანელობს. მაღალი შრომითი მიღწევები მოიპოვეს ქვანახშირის ნგრევის ოსტატებმა ბ. ბაკურაძემ, გ. სვანიძემ, მებიგე კ. გიორგაძემ.

გელათელი მეშახტეები კვლავ წარმატებით განაგრძობენ მუშაობას და გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს.

დაწინაურდნენ ახალი ადამიანები

— მივცეთ საბჭოთა ადამიანებს საუკეთესო ხარისხის, ლამაზად მოჩითული აბრეშუმის ქსოვილები!

ასეთი ლოზუნგით იბრძვიან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობისათვის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველები. მათ შორის ბოლო ხანებში დაწინაურდნენ ახალი ადამიანები — ანა ჩანადირი, თამარ ძაბირაძე, ოლგა ჯღამაძე, ვიქტორინა თათარაშვილი, ეთერ ალიბეგაშვილი და ალექსანდრა კარცევა.

ეს მოწინავე სტახანოველები მუშაობენ ფაბრიკის მოსამზადებელ სამქროში და საწარმოო დავალებებს საუკეთესო მაჩვენებლებით — 150-170 პროცენტით ასრულებენ.

ოქტომბრის პირველი ნახევარი ახალი მიღწევებით აღნიშნეს აბრეშუმის მქსოველებმა ნინო ჯოხაძემ, ევგენია პაპაშვილმა, ანა კამიშინამ, ნინო მელიქიძემ და სხვებმა რომლებმაც საუკეთესოდ აითვისეს სტახანოველი მქსოველების ეკატერინე მეფრაძისა და ე. ურთაშვილის მუშაობის ჩვევები და ხერხები, მიაღწიეს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს და ახლა სისტემატურად გეგმის გადამეტებით იძლევიან პირველხარისხოვან ქსოვილებს.

მილგლინავთა ახალი მიღწევა

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მრავალრიცხოვან კოლექტივს ელვა-ფურცლებმა აუწყა, რომ წინა დღით მილსაგლინავი საამქროს ცვლამ, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი ვ. ზახაროვი ხელმძღვანელობს, 8 საათში გაგლინა დიდი რაოდენობით ფოლადის მილი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აქამდე მიღწეულ ყველა მაჩვენებელს. მილგლინავებმა ცვლაში გაგლინეს ორჯერ მეტი მილი, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული. გამოშვებული პროდუქცია მთლიანად მაღალი ხარისხისაა.

ქარხნის დირექტორის ბრძანებით მილგლინავთა ცვლას მაღალნაყოფიერი შრომისათვის პრემიის სახით მიეცა 7.500 მანეთი.

მგლინავები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რათა ახალი მიღწევებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

დიადი დღესასწაულის წინ

გეგმები შესრულებულია!

⊙ **საქართველოს ნავთობის მრეწველობის ტრესტმა** „საქნავთმა“ 29 ოქტომბრისათვის ნავთობის მოპოვების წლიური გეგმა შეასრულა 100,3 პროცენტით.

ნავთობსარეწების კოლექტივებმა იკისრეს წლის ბოლომდე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ მრავალი ათასი ტონა ნავთობი.

⊙ **თბილისის მაცივარკომბინატის** კოლექტივმა (დირექტორი ი. ჩახავა, პარტორგანიზაციის მდივანი გ. აბგაროვი) მიმდინარე წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა 1 ოქტომბრისათვის.

1-ლ ოქტომბრის შემდეგ კომბინატის კოლექტივი პროდუქციას იძლევა წლიური გეგმის გადამეტებით.

⊙ **საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტის თბილისის ლუდის პირველი ქარხნის** კოლექტივმა (დირექტორი გ. ტაბატაძე, პარტორგანიზაციის მდივანი მ. აირაპეტოვა) 27 ოქტომბრისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება შეასრულა 118,6 პროცენტით.

წლის განვლილ სამ კვარტალში ქარხნის კოლექტივმა სამშობლოს მისცა 199.900 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელთა [illegible]

31 ოქტომბერს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელთა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის საზეიმო კრება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამმართველოების, სამხედრო აკადემიების წარმომადგენელთა და ქალაქ მოსკოვის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიძღვნილი მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელთა მორიგი გამოშვებისადმი. საზეიმო კრება გახსნა სამხედრო აკადემიის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ს. ჟადოვმა.

მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია თავისი არსებობის მანძილზე ღირსეულად ასრულებს პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უსახავენ მას.. აკადემიამ აღზარდა და მოამზადა არაერთი ათასი მეთაური, რომლებმაც სრულყოფილად იციან სამხედრო საქმე, უსაზღვროდ ერთგული არიან სოციალისტური სამშობლოსი.

მიმდინარე წელს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია უშვებს სამხედრო საქმის კარგად მომზადებულ სპეციალისტთა ახალ რაზმს. აკადემიის კურსდამთავრებულთა სახით საბჭოთა არმია მიიღებს ოფიცერთა ახალ შევსებას, რომლებმაც წარმატებით მიიღეს უმაღლესი განათლება, გაიარეს დიდი სამამულო ომის შესანიშნავი სკოლა.

საზეიმო კრებაზე მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას სიტყვით მიმართა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ა. ბულგანინმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

თავის გამოსვლაში ამხ. ნ. ა. ბულგანინმა ოფიცრებს მიულოცა აკადემიის წარმატებით დამთავრება, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას — საბჭოთა არმიისათვის მაღალკვალიფიციურ სამხედრო სპეციალისტთა ახალი რაზმის მომზადების ძნელი და საპატიო ამოცანის შესრულება. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა შეკრებილთ დაუსახა საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ განმტკიცებასთან დაკავშირებული ამოცანები და გამოთქვა რწმენა, რომ აკადემიის კურსდამთავრებულნი ჯარში პრაქტიკულ მუშაობაში მთელ თავიანთ ძალღონესა და ნიჭს მოახმარენ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, მუდამ წმიდად დაიცავენ საბჭოთა ოფიცრის სახელსა და ღირსებას, უჩვენებენ სამხედრო მოვალეობისა და სამხედრო წესდებათა მოთხოვნების შესრულების მაგალითს.

საზეიმო კრების შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გამართა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის პატივსაცემად. დარბაზობაზე მოეწყო დიდი კონცერტი მოსკოვის თ

მომხმარებლის საყვედური

წერილი სტალინირიდან

კოლმეურნემ სოფლიდან ჩამოტანილი პროდუქტები გაყიდა. სხვადასხვა ნივთების წაღება უნდოდა ოჯახში.

— ბარემ კარგ სანავთესაც შევიძენ! — ამ გადაწყვეტილებით გაეშურა იგი ქ. სტალინირის სარეწაო არტელების მაღაზიებისაკენ. ყველგან უარით გამოისტუმრეს. ბოლოს არტელ „ინშეკავშირებისაკენ“ გასწია. ადრე იქ ამზადებდნენ სანავთეებს.

სამწუხაროდ, არც იქ აღმოჩნდა სანავთე.

არტელი ლითონის ნაწარმის გამოშვების საერთო გეგმას ასრულებს, მაგრამ საამქროში გატაცებული არიან მხოლოდ ღუმელების კეთებით. არტელის ხელმძღვანელობას ავიწყდება, რომ მომხმარებელს მარტო ღუმელი როდი სჭირდება. „ინშეკავშირებას“ წელს მომხმარებლისათვის უნდა მიეწოდებინა სანავთეები, ვედროები, ტაშტები, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. დამახასიათებელია ისიც, რომ გასულ წელს გამოშვებული პირსაბანები ხელუხლებლად აწყვია არტელის საწყობში, ჟანგი ეკიდება, მომხმარებლამდე არ მიდის.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლითონის ნაწარმის დამამზადებელი საამქრო ცუდად მარაგდება საჭირო მასალით. არტელი ზოგჯერ კერძოდ ყიდულობს ლითონს, რაც იწვევს პროდუქციის გაძვირებას. ტყავ-ფეხსაცმლის დამამზადებელი საამქრო ხშირად უქმად დგას. ესეც იმიტომ, რომ იგი საჭირო მასალით არ მარაგდება. არტელს დიდი რაოდენობით აქვს საზედაპირე ტყავი, მაგრამ ლანჩა (საძირე) არ ჰყოფნის.

ერთი წლის წინ ხეითელმა კოლმეურნემ ლ. ბუგიანიშვილმა „ინშეკავშირების“ საავეჯო საამქროს შიფონერი დაუკვეთა. მასალაც მეორე დღესვე ჩააბარა საამქროს, ხოლო შიფონერის მიღებას დღემდე ვერ ეღირსა. საამქროში სულ ერთი (!) კაცი მუშაობს და საქმეს ვერ აუდის.

საავეჯო საამქროს მუშაობა წესიერად რომ იყოს აწყობილი, იგი ძვირფას სამსახურს გაუწევდა მომხმარებელს.

— შეკერვა, შეკერვაა მთელი ამბავი! — ხშირად გაიგონებთ სტალინირში. მართლაც, ქალაქში, რომელიც ხალქო ცენტრია, არ შეიძლება ტანსაცმლის შეკერვა გემოვნებით. მომხმარებელს კოსტიუმის შესაკერად თბილისში ჩასვლა უხდება.

„ინშეკავშირების“ სამკერვალო საამქრომ დაკვეთების შესრულებით მიმდინარე წელს 146 ათასი მანეთი შემოსავალი უნდა მიიღოს, 9 თვეში მხოლოდ 24 ათასი მანეთის შეკვეთები შესრულდა. ანდა რა საამქროა, სადაც ვერც კოსტიუმს, ვერც პალტოს ვერ შეიკერავ!

არტელს გეგმის მიხედვით უნდა ჰქონდეს საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთების საამქრო. მაგრამ იგი არ არსებობს. ვთქვათ, დაგიზიანდათ ველოსიპედი, პატეფონი და სხვა ნივთი. აუცილებლად სხვაგან უნდა გაემგზავროთ. არტელისაგან დახმარებას ნუ ელით.

რამდენჯერმე მოიწადინეს გაეხსნათ ქიმიური საამქრო, არტელის გამგეობამ არაერთხელ მიმართა თხოვნით სათანადო ორგანიზაციას თბილისში, მაგრამ ამაოდ. რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ქალაქში ტანსაცმლის ქიმიური გაწმენდა, შეღებვა?

არტელს შესაძლებლობა აქვს ფართოდ მოჰკიდოს ხელი კერამიკას. მაგრამ ეს საქმეც დღემდე არ მოგვარებულა.

„ინშეკავშირებამ“ პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 9 თვის დავალება მხოლოდ 74 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩენის გამამწვევი მიზეზები ბევრია: შრომის დაბალი დისციპლინა, სოციალისტური შეჯიბრების ფორმალური ხასიათი, მომხმარებელთა მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობა...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არტელს მუშაობისათვის არა აქვს ნორმალური პირობები, მისი საამქროები გაბნეულია შეუფერებელ ოთახებში, თვით გამგეობაც დაქირავებულ ბინაშია.

ჩანს, სხვადასხვა სარეწაოთა კავშირის რესპუბლიკური ორგბიურო, მისი თავმჯდომარე ა. ივანიძე ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ ამ არტელის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

არადამაკმაყოფილებლად ეხმარება პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტი არტელ „ინშეკავშირების“ პირველადს პარტორგანიზაციას. ამიტომ პარტორგანიზაცია სუსტად ებრძვის ნაკლოვანებებს, მას მხედველობიდან რჩება მთავარი. უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე პარტორგანიზაციას თავისი ინიციატივით არ განუხილავს საწარმოო საკითხი.

იგი არ ინტერესდება, თუ რა იწვევს ჩამორჩენას, რა არის საჭირო არტელის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად.

პარტორგანიზაცია თავის რიგებში 13 წევრს აერთიანებს. ამ ძალის უნარიანად გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანდა საქმეს.

მართალია, უკანასკნელ ხანებში არტელის გამგეობა გადახალისდა, მაგრამ საქმის ძირეულად გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ არტელის მუშაობა ამაღლდეს ახალი ამოცანების დონემდე, საჭიროა მას საქმიანი დახმარება აღმოვუჩინოთ.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ბევრი სახელწოდების წიგნს და ბროშურას გამოსცემს სასოფლო-სამეურნეო თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები“, „ვაზის უმთავრესი მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა“, „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების საფუძვლები“ და სხვა. ეს ლიტერატურა დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. სურათზე: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საამკინძაო საამქროს მოწინავე მუშა ნ. გულდედავა კინძავს ახალგამოსულ წიგნებს.

ფოტო და ტექსტი გ. ვახტანგაძისა.

გრიგოედოვის სახელობის თეატრში

თეატრმა ამ დღეებში სეზონის პირველ ახალ სპექტაკლად მაყურებელს უჩვენა უკრაინელი დრამატურგის ვ. მინკოს სატირული კომედია „პიროვნების დაუსახელებლად“.

კომედიის მოქმედება წარმოეს ჩვენს დღეებში კიევსა და მის მიდამოებში. ავტორი მინისტრის მოადგილის, ვინმე კარპო კარპოვიჩის ოჯახის მაგალითზე ამათრახებს მეშჩანობის გამხრწნელ გავლენას, რაც ბოლომდე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ჩვენს ცხოვრებაში.

დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. ღვინიაშვილს, გაფორმება მჰატვარ ე. დონცოვას. სპექტაკლში მონაწილეობას იღებენ კ. დობჟინსკი (კარპო სიდოროვიჩი), დ. სლავინი (კარპო კარპოვიჩი), ვ. ზახაროვა (მისი ცოლი დიანა), ნ. ბურმისტროვა (მათი შვილი პოემა) და სხვ.

სპექტაკლს წარმატება ჰქონდა.

ახალი მინერალური წყაროს

ბორჯომი. (საკ. კორ.). დღევანდელამდე კურორტ ბორჯომში არსებობდა ექვსი მინერალური წყარო, რომელთა დებიტი დღე-ღამეში 150 ათას ლიტრ წყალს შეადგენდა. ჰიდრომინერალური რესურსების გასადიდებლად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველოს ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ლიკანის სანატორიუმის ტერიტორიაზე აწარმოვა საძიებო სამუშაოები. ბურღვის დროს 270 მეტრ სიღრმეზე ამოხეთქა ახალმა მინერალურმა წყაროს წყალმა, რომლის დებიტი დღე-ღამეში შეადგენს ნახევარ მილიონზე მეტ ლიტრ წყალს.

ახალ მინერალურ წყაროს წყალს აქვს არსებული მინერალური წყლების თვისებები და შემადგენლობა, მისი ტემპერატურა 35,5 გრადუსია, რაც დიდად აღემატება არსებული მინერალური წყლების ტემპერატურას.

საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის განცხადება

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა ხალხებს მოაწყონ საერთაშორისო კამპანია სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისათვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საკარგებლოდ.

მსოფლიოს ახალგაზრდობის უფართოეს მასებს, სულ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულების ადამიანებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კეთილშობილური ინიციატივა მიაჩნიათ იმის რეალურ საშუალებად, რომ განხორციელდეს მშვიდობიანი მომავლისა და იმ ცხოვრების იმედები, რომელიც გამწარებული არ იქნება ომის საშინელებებით. ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესმა, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, 106 ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახელით მოუწოდა მსოფლიოს ახალგაზრდობას მისთვის ჩვეული მთელი ენერგიით მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო უთანხმოებათა მშვიდობიანი გადაჭრისათვის და ამ-ამად წარმოებული ომების შეწყვეტისათვის ბრძოლაში, ხალხთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების შეწყვეტისათვის ბრძოლაში.

მშვიდობისა და მეგობრობის დიადი დღესასწაული — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალი, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართა ბუქარესტში, იმის მკაფიო და დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი, მეგობრული და ძმური ურთიერთობა ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას შორის.

კორეაში დროებითი ზავის დადებამ, რაც კორეელი და ჩინელი ხალხების, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის დიდი გამარჯვებაა, ცხადყო, რომ შესაძლებელია ყოველგვარი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრა მშვიდობიანი საშუალებებით, და არა სისხლითა და რკინით. დაძაბულობის შენელება, რომელიც დაისახა ხალხთა ურთიერთობაში, შეესაბამება ჩვენი დროის ახალგაზრდა თაობის უაღრესად სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს.

მშვიდობის დიადი საქმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში საბჭოთა ახალგაზრდობის, ყველა საბჭოთა ადამიანის სანატრელი მიზანია. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდათა საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელსაც მეთაურობს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, რომლის რიგებშიც იბრძვის მშვიდობისა და უკეთესი მომავლისათვის 90 ქვეყნის 83 მილიონი ჭაბუკი და ქალიშვილი.

ჩვენთან ერთად არის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში დიდი ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობა.

ჩვენთან ერთად არის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მოწინავე ჭაბუკი და ქალიშვილი, კოლონიების ჩაგრული ახალგაზრდობა, რომელიც ცდილობს გაერთიანებული ძალღონით დაიცვას თავისი სასიცოცხლო ინტერესები და უფლებები.

ახალგაზრდობას კარგად აქვს შეგნებული, რომ მშვიდობისმოყვარე ძალებს გარდა მსოფლიოში მოქმედებენ რეაქციისა და აგრესიის შავბნელი ძალები, რომლებსაც სწყურიათ ახალი ომები, ახალი სისხლისღვრა. ეს ძალები ისწრაფვიან ჩაშალონ კორეის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება, ყველაფერს სჩადიან, რაც კი შესაძლებელია, რათა ხელი შეუშალონ გერმანიის დემოკრატიულ გაერთიანებას, წინანდებურად განაგრძობენ გამალებული შეიარაღების პოლიტიკას.

იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი პოლიტიკა ხორციელდება და სადაც უდიდესი სახსრები იხარჯება სამხედრო მიზნებისათვის, მშრომელი ახალგაზრდობა მოკლებულია ელემენტარულ ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებს. ამ ქვეყნებში ახალგაზრდობის ცხოვრება აღსავსეა შეშფოთებითა და ხვალინდელ დღეში დაურწმუნებლობით; მილიონობით მშრომელ ახალგაზრდას არა აქვს სამუშაო, ვერ იღებს ხელფასს, რომელიც უზრუნველყოფდეს ადამიანის შესაფერ ცხოვრებას; ისინი მოკლებული არიან ფაქტიურ შესაძლებლობას ისწავლონ, ეწეოდნენ სპორტს, ისვენებდნენ. ომი საფრთხეში აგდებს ახალგაზრდა თაობის თვით სიცოცხლეს.

მშვიდობის მტერთა დანაშაულებრივი ზრახვების საპასუხოდ ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დარაზმონ თავიანთი რიგები, კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შესანარჩუნებლად, გააძლიერონ სიფხიზლე იმ ძალების ხრიკებისადმი, რომლებიც ცდილობენ წაართვან ახალგაზრდა თაობას მშვიდობიანი უსაშიშრო ცხოვრების უფლება, უკეთესი მომავლის უფლება, ბედნიერების უფლება.

საბჭოთა კავშირის მილიონობით ჭაბუკისა და ქალიშვილის სახელით საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტი მხურვალედ უჭერს მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივას — მოეწყოს საერთაშორისო კამპანია საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმების გზით.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა ამაყობს იმით, რომ იგი ცხოვრობს დიდ სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც თანმიმდევრულად და დაუცხრომლად იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად. ჩვენი სამშობლოს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ღრმად სწამთ, რომ შესაძლებელია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ყოველგვარი სადავო თუ გადაუჭრელი საკითხის გადაჭრა მშვიდობიანი გზით დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს აქტიურად განაგრძონ და გააძლიერონ ბრძოლა სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ყველა ქვეყნის ახალგაზრდობასთან მეგობრობის განმტკიცებისათვის.

კვლავაც უფრო მეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით განვამტკიცოთ ჩვენი დიადი სამშობლოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯის ძლევამოსილება, ვამრავლოთ საწარმოო წარმატებანი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის ყველა სხვა დარგში.

გაუმარჯოს მშვიდობასა და მეგობრობას ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას შორის!

საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„უმისამართო კრიზიკა“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 6 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ჩოხატაურის რაიონულ გაზეთ „ბრძოლის დროშას“. როგორც საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანი ამხ. გრ. მამალაძე გვატყობინებს, რაიკომის ბიურომ დადასტურებულად ცნო წერილში მოყვანილი ფაქტები. რაიკომის ბიურომ მიუთითა გაზეთ „ბრძოლის დროშის“ რედაქციას და გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის დასახა ღონისძიებანი.

საქართველო-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

ბერლინი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციული ერთთვიური. ერთთვიურის დაწყებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც შეასრულა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ მთელ რესპუბლიკაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ ერთთვიურში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს.

რესპუბლიკის საწარმოებში ეწყობა შეხვედრა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებთან. 1953 წლის 30 ოქტომბერს ქალაქ ფრაიბურგის სამთო აკადემიის სტუდენტებსა და მასწავლებლებს სსრ კავშირში სამთამადნო საქმის განვითარების შესახებ მოხსენება წაუკითხა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაციის წევრმა პროფესორმა შუხარდინმა. გულითად ვითარებაში ჩაიარა საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შეხვედრამ ცვიკაუს ახალგაზრდა გერმანელ მაღაროელებთან, აგრეთვე ბერლინის ქარხანა „კარლ ლიბკნეხტის“ მუშებთან.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში უკვე გაიმართა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოები.

1 ნოემბერს საღამოს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური ბერლინის ფრიდრიხშტადტპალასტში, სადაც სიტყვა წარმოთქვა საზოგადოების თავმჯდომარემ დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრმა ფრიდრიხ ებერტმა.

ბერლინი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურში მონაწილეობის მისაღებად ბერლინს ჩამოვიდა სვეშნიკოვის გუნდი.

საერთაშორისო მიმოხილვა

ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკები ინდოჩინეთში

საფრანგეთის პოლიტიკა ინდოჩინეთში დიდ კრიზისს განიცდის, ხოლო ბაო დაის ამასწინანდელმა მანევრმა უფრო გააძლიერა იგი. მისი არსისა და მიზნის გასაგებად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შეერთებული შტატების განსაკუთრებული დაინტერესებულობა ინდოჩინეთის საქმეებით. როგორც ამას წინათ გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი“ წერდა, „ამერიკელი დიპლომატები ყველა თავიანთ საბუთს იყენებენ, რათა დაარწმუნონ ფრანგები არ მიიღონ წინადადება... ამ მღელვარე რაიონში ომის შეწყვეტის შესახებ“.

სხვა ნომერში იგივე ამერიკული გაზეთი ცინიკური გულახდილობით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტს მოუხდება გამოიყენოს მთელი თავისი ჭკვიმტალეობა ან რაღაც უფრო მეტიც, რათა ფრანგებმა გაგრძელონ ომი“ ინდოჩინეთში.

ამერიკის შეერთებული შტატები უხვად აფინანსებენ ამ ომს, რომელიც მოწოდებულია ჩაახშოს ინდოჩინეთ-ვიეტნამის, ქხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან ერთად ამერიკელი იმპერიალისტები სამხედრო „დახმარების“ საბაბით სულ უფრო ახლოს მიიწევენ ამ ქვეყნის სიმდიდრეებისაკენ და ცდილობენ, საბოლოო ანგარიშით, ამ რაიონის ეკონომიკიდან განდევნონ თავიანთი ფრანგი „მოკავშირეები“. ამერიკის შეერთებული შტატების სწორედ ამ მიზანს ემსახურება ბაო დაის მანევრიც. ისარგებლა რა იმით, რომ მოსალოდნელია საფრანგეთთან მოლაპარაკება ბაო დაის ვიეტნამისათვის „დამოუკიდებლობის“ მინიჭების შესახებ (როგორც ეს გარკვეული მიზნებით გამოცხადებული იყო საფრანგეთის თავრობის 1953 წლის 3 ივლისის დეკლარაციით), ბაო დაიმ 12 ოქტომბერს საიგონში მოიწვია ეგრეთწოდებული „ვიეტნამის ეროვნული კონგრესის“ სესია. ამ „კონგრესის“ შემადგენლობა განსაზღვრა თვით ბაო დაის მიერ დანიშნულმა საორგანიზაციო კომიტეტმა. ცნობილია, რომ იქ მოხვდნენ მხოლოდ სპეციალურად შერჩეული პირები — სხვადასხვა რეაქციული პოლიტიკური პარტიებიდან და დაჯგუფებებიდან, რომლებიც წარმოადგენენ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ წრეებს. და რაც უფრო მნიშვნელოვანია აღინიშნოს, როგორც საფრანგეთის პრესა მოწმობს, „კონგრესის დელეგატთა“ შორის მოხვდნენ მთელი რიგი ისეთი პირები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ამერიკის იმპერიალისტურ წრეებთან.

ამ „კონგრესს“ უნდა განესაზღვრა საფრანგეთთან მომავალი ურთიერთობის ფორმულა და გამოეყო დელეგაცია საფრანგეთთან მომავალი მოლაპარაკებისათვის. რა ფორმულა აირჩია „კონგრესმა“? მან მიიღო რეზოლუცია იმის წინააღმდეგ, რომ ბაო დაის ვიეტნამი ეკუთვნოდეს საფრანგეთის კავშირს და მიემხრო საფრანგეთთან ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელიც დამყარებულია, როგორც ფრანგული გაზეთი „მონდი“ წერდა, „ვიეტნამის სრული დამოუკიდებლობის“ პრინციპებზე.

რა თქმა უნდა, საქმე ნამდვილ დამოუკიდებლობას როდი ეხება. ბაო დაის რეაქციის მიერ „სრული დამოუკიდებლობის“ დემაგოგიური მოთხოვნა მიზნად ისახავს მხოლოდ გათიშვა შეიტანოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთიან სახალხო ფრონტში. მეორე მხრივ, „დამოუკიდებლობის“ ამ დეკლარაციის ნამდვილ არსს მკაფიოდ ახასიათებს „კონგრესის“ მიერ მიღებული მეორე რეზოლუცია. იქ გამოთქმულია მადლობა ამერიკის მთავრობისადმი იმ „დახმარებისათვის, რაც ვიეტნამს გაუწია მისი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში“. ამრიგად, საქმე ეხება „დამოუკიდებლობას“ ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესებისათვის. ეი რატომ გაილაშქრა საიგონის „კონგრესმა“ იმის წინააღმდეგ, რომ ბაო დაის ვიეტნამი საფრანგეთის კავშირს ეკუთვნოდეს. როგორც ფრანგული გაზეთი „ლიბერასიონი“ წერდა, საიგონის „კონგრესი“ იყო „პოლიტიკური ოპერაცია, რაც ბაო დაიმ მოაწყო თავის ამერიკელ მოკავშირეთა თანხმობით, რათა საფრანგეთი ეიძულებინა უარი ეთქვა ყოველივე იმაზე, რაც განსაზღვრავს მის პოლიტიკურ და ეკონომიურ პოზიციებს ინდოჩინეთში“.

საფრანგეთის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია ბაო დაის მანევრით, რადგან ამ მანევრმა მთელი ძალით ცხადყო ინდოჩინეთში საფრანგეთის ახლანდელი პოლიტიკის დამღუპველობა. უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგი ასეთი მანევრისათვის სწორედ ამ პოლიტიკამ შექმნა. ეი ამიტომ საფრანგეთში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის ხმები ინდოჩინეთში ომის შეწყვეტისათვის, და ამ მოთხოვნას ემხრობიან საფრანგეთის საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეები. ამ მოთხოვნების ზეგავლენით საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ 23 ოქტომბერს დაიწყო კამათი ინდოჩინეთში მთავრობის პოლიტიკის საკითხზე.

უცხოეთის პრესაში ამასთან დაკავშირებით გამოთქმა ეზრი, რომ კამათი „მოიტანს ოქთ საერთო უკმაყოფილების დამამტკიცებელ საბუთებს“.

უკვე იუწყებოდნენ, რომ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებიც საფრანგეთის სხვადასხვა პარტიას ეკუთვნიან, გამოვიდა მოწოდებით პარიზში 22 ნოემბერს მოეწყოს ეროვნული კონფერენცია ინდოჩინეთში მოლაპარაკებისათვის. ვიეტნამში უაზრო ომის გაგრძობის წინააღმდეგ გამოდის აგრეთვე საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ე. დალადიე. მან განაცხადა: „მე მტკიცედ ვემხრობი ოპერაციების შეწყვეტას ინდოჩინეთში, სადაც აღარ იცავენ საფრანგეთის ინტერესებს“.

შეწყდეს ომი ვიეტნამში, დაიწყოს დაუყოვნებლივი მოლაპარაკება პრეზიდენტ ხო ში მინთან — ასეთია ფრანგი ხალხის დიდი უმრავლესობის აზრი.

იაპონია-ამერიკის წინააღმდეგობანი

მას შემდეგ, რაც ხაიატო იკედამ — იაპონიის პრემიერ-მინისტრ იოსიდას სპეციალურმა წარმომადგენელმა — 5 ოქტომბერს პირველი ვიზიტი გაუკეთა ამერიკის თანამდებობის პირს (ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე შორეული აღმოსავლეთის საქმეთა დარგში რობერტსონი), ბევრმა წყალმა ჩაიარა. იკედა კიდევ ბევრჯერ შეხვდა სხვადასხვა ამერიკელ მაღალი წრის მოღვაწეებს. მიუხედავად ამისა, იაპონიის მთელი პრესა, კომენტარს უკეთებს რა იაპონია-ამერიკის მოლაპარაკების მსვლელობას, იმ აზრისაა, რომ ეს მოლაპარაკება ჩიხში მოემწყვდა, რადგან მხარეთა შორის სერიოზული უთანხმოებაა როგორც ეკონომიურ, ისე სამხედრო პრობლემებში, რომლებიც ვაშინგტონის მოლაპარაკების საგანი იყო.

იაპონიის ხელახალი შეიარაღება ამ მოლაპარაკების ძირითადი თემა იყო. ხელახალი შეიარაღებისადმი მისწრაფებაში იაპონიის მხარე და ამერიკის მხარე ერთმანეთს ეთანხმებიან. მაგრამ ისინი სხვა აზრს დაადგნენ, როგორც კი საქმე შეეხო ხელახალი შეიარაღების მასშტაბსა და ამერიკის ფინანსური „დახმარების“ როლს ამ ღონისძიების განხორციელებაში.

როგორია ტოკიოს პოზიცია? როგორც იკედამ ვაშინგტონის პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, იაპონია ხელახალ შეიარაღებას მოახდენს იმ შემთხვევაში, თუ მას მიეცემა უშუალო ეკონომიური დახმარება, რომელიც იაპონიის მხარეს „სამხედრო დახმარების განუყოფელ ნაწილად“ მიაჩნია. მაგრამ ამერიკელმა ექსპერტებმა განუცხადეს იკედას, რომ უშუალო ეკონომიური დახმარების შესაძლებლობა გამორიცხულია.

საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მხოლოდ და მხოლოდ ხელახალი შეიარაღება აქვთ მხედველობაში და თანახმანი არიან მხოლოდ სამხედრო „დახმარება“ გასცენ, ე. ი. მზად არიან აღმოსავლეთ აზიაში ამერიკული იარაღი. მაგალითად, უცხოეთის პრესის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატები აიძულებენ იაპონიას შეერთებული შტატებისაგან შეიძინოს ათასი თვითმფრინავი.

იაპონიის მმართველ წრეებს კი, რომლებზეც გავლენას ახდენენ შეიარაღების მაგნატები, სურთ ამერიკის ფინანსური დახმარება მიიღონ, რათა იაპონიის საწარმოებში გაანაწილონ სამხედრო დაკვეთები.

ამ მხრივ დიდად საინტერესოა ტოკიოს რადიოს ამასწინანდელი ცნობა. „იაპონელ იარაღის ფაბრიკანტთა ჯგუფმა, — ნათქვამი იყო ამ ცნობაში, — გადაწყვიტა თავისი კავშირურთიერთობის საბჭო გარდაქმნას დიდ ორგანიზაციად, რომელიც იაპონიის სამხედრო მრეწველობის ინტერესების გამომხატველი იქნება. ახალ ორგანიზაციას ერქმევა იაპონიის შეიარაღების მწარმოებელთა ასოციაცია. ასოციაციაში შევლენ არა მარტო იმ საწარმოთა მფლობელნი, რომლებიც სახმელეთო ომის საწარმოებელ იარაღს უშვებენ, არამედ ის ფაბრიკანტებიც, რომლებიც დაკავშირებული არიან სამხედრო ხომალდებისა და თვითმფრინავების მშენებლობასთან. ასოციაციის თავმჯდომარე იქნება იაპონელი მრეწველობის მაგნატი კოისი გოკო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მძიმე მრეწველობის კომპანიის „მიცუბისის“ პრეზიდენტი იყო“.

ამრიგად, საქმე ეხება იმას, რასაც გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ტოკიოელი კორესპონდენტი უწოდებს იაპონელი იარაღის მაგნატების სურვილს „დადგნენ თავიანთ საკუთარ ფეხზე“.

მაგრამ ამით როდი ამოწურულა მხარეთა უთანხმოება ვაშინგტონის მოლაპარაკების დროს. იკედა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოთხოვნილი ხელახალი შეიარაღების მასშტაბისა და ვადების წინააღმდეგი გახდა. ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ დაუყოვნებლივ შექმნას იაპონიის დიდი რეგულარული შეიარაღებული ძალები. იაპონიის მხარე კი ვაშინგტონის მოლაპარაკებაზე ეწინააღმდეგება ასეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ამაკე დროს პირდაპირი დიქტატის ფორმა აქვს. ამასთან იაპონიის მხარე შიშობს, რომ დიდი შეიარაღებული ძალების სწრაფად შექმნა ძირს გამოუთხრის იაპონიის მერყეულ ეკონომიკას. ამ შემთხვევაში იაპონიის მმართველი წრეები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ იაპონიის საზოგადოებრიობის განწყობილებას, რომელიც გადაჭრით ეწინააღმდეგება ხელახალი შეიარაღების ტემპის გაძლიერებას, რასაც მას თავს ახვევენ შეერთებული შტატები.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, იაპონიაძერიკის მოლაპარაკების მსვლელობაში „მიღწეული არ არის შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის უნდა იყოს იაპონიის შეიარაღებული ძალები“.

იაპონიის ზედაფენის ვაჭრობა ვაშინგტონში არ დამთავრებულა, და მისი შედეგები საბოლოოდ გარკვეული არ არის, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც იყენებენ იაპონიის დაქვემდებარებულ მდგომარეობას, შეუძლიათ ზეგავლენის ახალი საშუალებანი გამოიყენონ. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა ახლა ისეთია, როგორც მას ახასიათებს იაპონიის გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“: „თავდაცვის გეგმებზე (ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით იაპონიის ხელახალი შეიარაღება — მ. ა.) იაპონიის თვალსაზრისსა და ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისს შორის დიდი განსხვავებაა, და მხარეებმა ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ძირითად საკითხებში“.

ჯონსტონის მოგზაურობა არაბთა აღმოსავლეთის ქვეყნებში

ამერიკელი იმპერიალისტები თავს არ ანებებენ თავიანთ ცდებს შეიყვანონ არაბთა აღმოსავლეთის ქვეყნები აგრესიულ „ატლანტიკის სისტემაში“.

ამ მიზნისათვის, როგორც ცნობილია, განზრახულ იქნა ეგრეთწოდებული შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნა. მაგრამ გეგმებს საქმე არ გასცილებია. ახლა ახალი ღონისძიებებია მიღებული, რათა თავს მოახვიონ არაბთა ქვეყნებს „ერთობლივი თავდაცვის“ არც თუ ისე ახალი „იდეა“, რითაც ამერიკელი იმპერიალისტები ნიღბავენ აღნიშნული ქვეყნების დამონებისა და სამხედრო პლაცდარმად მათი გადაქცევის გეგმებს.

ახლა ეს უმადური

პაუღიუსის განცხადება საბჭოთა მთავრობისადმი

სსრ კავშირიდან გერმანელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციასთან დაკავშირებით რეპატრიირებულია აგრეთვე გენერალ-ფელდმარშალი პაულიუსი, რომელიც გერმანიაში ჩასვლის შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად დარჩა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ პაულიუსმა სსრ კავშირის მთავრობის სახელზე გადასცა შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა მთავრობას.

ვბრუნდები რა ტყვეობიდან სამშობლოში, საბჭოთა მთავრობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის 1953 წლის 23 აგვისტოს ერთობლივი კომუნიკეს თანახმად გერმანელი სამხედრო ტყვეების განთავისუფლებასთან დაკავშირებით, მე მსურს, სანამ დავტოვებდე საბჭოთა კავშირს, გავაკეთო შემდეგი განცხადება.

საბჭოთა მთავრობის ა. წ. 23 აგვისტოს დიდსულოვნური გადაწყვეტილება სამხედრო ტყვეების საკითხზე იმის ახალი დადასტურებაა, რომ საბჭოთა მთავრობა თავის პოლიტიკაში გერმანიის მიმართ არ ხელმძღვანელობს იმ აურაცხელი ტანჯვისათვის შურისძიების გრძნობით, რომელიც ჩვენ საბჭოთა ხალხს მივაყენეთ ჩვენ მიერ გაჩაღებული ომის შედეგად. პირიქით, იგი თავისი მშვიდობიანი პოლიტიკით, რომელმაც კვლავ ჰპოვა თავისი გამოხატულება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, უადგილებს მთელ გერმანელ ხალხს მშვიდობიანი გზით სვლას გერმანიის ერთიანობისაკენ და ამით ბედნიერი მომავლისაკენ.

ვსარდლობდი რა გერმანიის ჯარებს სტალინგრადთან ბრძოლაში, რომელმაც გადაწყვიტა ჩემი სამშობლოს ბედი, მე ბოლომდე შევიცანი აგრესიული ომის მთელი საშინელება, რომელიც განიცადა არა მარტო საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ჩვენ თავს დავესხით, არამედ ჩემმა საკუთარმა ჯარისკაცებმაც. ჩემმა საკუთარმა გამოცდილებამ, აგრეთვე მთელი მე-2 მსოფლიო ომის შედეგმა დამარწმუნა, რომ გერმანელი ხალხის ბედი არ შეიძლება აგებულ იქნას ბატონობის იდეის ბაზაზე, არამედ მხოლოდ საბჭოთა კავშირთან და ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ხანგრძლივი მეგობრობის ბაზაზე. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ დასავლეთში დადებული სამხედრო ხელშეკრულებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს ბატონობის იდეა, არ წარმოადგენს შესაფერ საშუალებას გერმანიის ერთიანობის მშვიდობიანი აღდგენისა და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. უფრო მეტიც, ეს ხელშეკრულებანი მხოლოდ აძლიერებენ საფრთხეს, რომელიც მოაქვს გერმანიის გათიშვას, და ახანგრძლივებენ ამ გათიშვას. დარწმუნებული ვარ, რომ ერთადერთი რეალური გზა გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისა და ევროპაში მშვიდობის მიღწევისა არის შეთანხმება თვით გერმანელებს შორის და საზავო ხელშეკრულების დადება ა. წ. 15 აგვისტოს საბჭოთა ნოტის საფუძველზე, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებს გაეგზავნა გერმანიის საკითხზე.

ამიტომ მე გადავწყვიტე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი ძალღონე მოვახმარო იმას, რომ ხელი შევუწყო წმიდა მიზნის მიღწევას — დემოკრატიული გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას და გერმანელი ხალხის მეგობრობას საბჭოთა ხალხთან, აგრეთვე ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთან.

სანამ საბჭოთა კავშირს დავტოვებდე, მე მსურს ვუთხრა საბჭოთა ადამიანებს, რომ ოდესღაც მოვედი მათ ქვეყანაში ბრმა მორჩილებით, როგორც მტერი, ახლა კი ვტოვებ ამ ქვეყანას, როგორც მისი მეგობარი.

1953 წლის 24 ოქტომბერი.

ფრიდრიხ პაულიუსი,
ყოფ. გერმანიის არმიის გენერალ-ფელდმარშალი“.

(საკდესი).

ალბანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება საბერძნეთ-ამერიკის სამხედრო შეთანხმების შესახებ

ტირანა, 30 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ალბანეთის გაზეთები აქვეყნებენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას სამხედრო შეთანხმების შესახებ, რომელიც 1953 წლის 12 ოქტომბერს დაიდო საბერძნეთის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს შეთანხმება უფლებას აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს განალაგონ თავისი შეიარაღებული ძალები საბერძნეთის ტერიტორიაზე, ააშენონ იქ სამხედრო ბაზები და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მიზნებისა და გეგმებისათვის გამოიყენონ საბერძნეთის კომუნიკაციები. ამ შეთანხმებით საბერძნეთის მთავრობა მშვიდობიან დროს ამერიკის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში გადასცემს თავის ტერიტორიას, რომელიც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას ესაზღვრება.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, რომ საბერძნეთის ტერიტორიაზე უცხოეთის შეიარაღებული ძალების განლაგება და აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ბაზად საბერძნეთის გადაქცევა უშუალო საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ბალკანეთში.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ ასეთი მოქმედებით საბერძნეთის მთავრობა ძმიმე პასუხისმგებლობას კისრულობს, რადგან სჩადის ისეთ აქტს, რომელიც საერთაშორისო ვითარების გამწვავებას იწვევს.

მშრომელთა მოძმედების ერთიანობისათვის ადენაუერის სამხედრო გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში

გერმანიის კომპარტიის გამგეობის სამდივნოს ღია წერილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისადმი

ბერლინი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანიის კომპარტიის გამგეობის სამდივნომ განიხილა ადენაუერის მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით ბუნდესტაგში წარმოებული კამათის შედეგები და პოზიცია, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ დიაკვნა ამ საკითხში.

გერმანიის კომპარტიის გამგეობის სამდივნომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითს წევრებსა და აქტივისტებს მიმართა ღია წერილით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ადენაუერმა განაცხადა, რომ 6 სექტემბერს გერმანელმა ხალხმა თითქოს „მოიწონა“ პოლიტიკა, რომელსაც იგი ახორციელებს. ეს არ არის მართალი. ტერორისა და უმაგალითო საარჩევნო დემაგოგიის მიუხედავად, 9 მილიონმა ამომრჩეველმა აშკარად მისცა ხმა ადენაუერის წინააღმდეგ. ეს ცხრა მილიონი დიდ ძალას წარმოადგენს, რადგან ძირითადად ეს არის მუშათა კლასი, რომელსაც ეკუთვნის მომავალი. გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ამ კლასმა უკვე ზექმნა მუშურ-გლეხური ხელისუფლება. დასავლეთ გერმანიაში მუშათა კლასს აგრეთვე არაერთხელ დუმტკიცებია, რომ მას შეუძლია ჩაფუშოს რეაქციისა და ომის გამჩაღებელთა ხრიკები.

წერილში მოყვანილია დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასის წარმატებით ბრძოლის მაგალითები და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საკითხი სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების ერთობლივი ბრძოლა რეაქციის და ომის ძალების წინააღმდეგ. „მაშინ, — ნათქვამია წერილში, — შეცდომაში შეყვანილი მშრომელნი, რომლებმაც ჯერ კიდევ გუშინ ხმა მისცეს ადენაუერს, შემოგვიერთდებიან, რადგან მათ არა სურთ ომი“.

ცხრა მილიონი ამომრჩეველი, აღნიშნულია შემდეგ წერილში, ახლა მოელის, რომ სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები ამიერიდან აღარ იმოქმედებენ ცალცალკე, არამედ ერთობლივად აწარმოებენ დიად ბრძოლას თავიანთი უფლებების უზრუნველყოფისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებისათვის.

ამხილებს რა სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერებს — ოლენჰაუერს, შმიდსა და მათ მსგავსთ, რომლებმაც, უგულებელყვეს რა ფართო პარტიული მასების ნება, ხმა მისცეს „ბონნის რეჟიმთან საერთო საგარეო პოლიტიკას“, გერმანიის კომპარტიის გამგეობის სამდივნო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი პოზიცია სინამდვილეში ნიშნავს ადენაუერისათვის მხარდაჭერას.

გერმანიის კომპარტიის გამგეობის სამდივნო მოუწოდებს სოციალ-დემოკრატებს განიხილონ ამ წერილში აღძრული ყველა საკითხი და მოაწყონ ერთობლივი ბრძოლა დასავლეთ გერმანიის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მშვიდობისმოყვარე, ერთიანი, დამოუკიდებელი გერმანიის შექმნისათვის.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი ხმელთაშუა ზღვის აუზში

პარიზი, 2 ნოემბერი. (საკდესი.) გაზეთ „ტრიბუნ დე ნასიონის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო წარმომადგენელთა შორის მწვავე ბრძოლა წარმოებს ხმელთაშუა ზღვაში სარდლობისათვის.

„აგერ უკვე ერთი წელიწადია, — წერს გაზეთი, — ამერიკისა და ინგლისის ფლოტების ურთიერთობა ხმელთაშუა ზღვაში მუშუკს მოგვაგონებს“. „ტრიბუნ დე ნასიონი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის სარდლობა აპირებს მიაღწიოს ინგლისელი ადმირალის მაუნტბეტენის გადადგომას. „იმათთვის, ვინც იცნობს ინდოეთის ყოფილი ვიცე-მეფის ენერგიულ ხასიათს, — განაგრძობს გაზეთი, — ამერიკის ეს იმედი უსაფუძვლოა. ადმირალ რედფორდს (ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსების გაერთიანებული ჯგუფის ხელმძღვანელი. — **რედ.**) იმედი აქვს დაარწმუნოს ინგლისის მთავრობა, რომ ინგლის-ამერიკის დაძაბული ურთიერთობის ერთადერთი მიზეზია მაუნტბეტენი და რომ საჭიროა მისი შეცვლა. ეს მეტად ძნელი ამოცანაა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის მთავარსარდალი ასრულებს მხოლოდ თავისი მთავრობის მითითებებს“.

შემდეგ გაზეთი მოკლედ მოგვაგონებს მაუნტბეტენისა და ამერიკელი ადმირალის კერნის ურთიერთობის ისტორიას, კერნისა, რომელსაც წინათ ეკავა ევროპის სამხრეთ ზონაში ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტი. კერნის შეუტყობინებლად ინგლისელი ადმირალი მიმდინარე წლის იანვარში ეწვია ათენსა და ანკარას და მოახერხა საბერძნეთისა და თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების გადაცემა მის სარდლობაში. ამან ჩაშალა ამერიკის სარდლობის გეგმა — ხელში ჩაეგდო თურქეთისა და საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ურთიერთობა უფრო გამწვავდა ჩრდილოეთ-ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის სამხედრო წარმომადგენელთა თათბირის დროს სექტემბერში მალტაზე. მაუნტბეტენმა ამ თათბირზე მტკიცედ განაცხადა, რომ ამერიკის მაშველი ძალები ხმელთაშუა ზღვაში მათი კონტროლის გფფართების მიზნით მას ეჩვენება „შეთქმულებად დიდ ბრიტანეთის წინააღმდეგ“.

ზოგიერთი მიმოხილველის აზრით, წერს „ტრიბუნ დე ნასიონი“, ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის ხელმძღვანელმა უკვე შეისწავლა მაუნტბეტენის ამერიკელი ადმირალით შეცვლის საკითხი და გადაწყვიტა ეს შეცვლა მოამზადოს ფსიქოლოგიური კამპანიის მეშვეობით, რომლის მიზანია ინგლისელი სარდლის ავტორიტეტისთვის ძირის გამოთხრა.

ამერიკის თვითმფრინავის კაჟასტროფა

შანხაი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობით, გუშინ იბარაკის პრეფექტურაში აეროდრომიდან აფრენისას დაიმსხვრა და დაიწვა ამერიკის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი. ეკიპაჟის ერთი წევრი მოკვდა, მეორე მძიმედ დაიჭრა.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინდელ დღის სხდომაზე უშიშროების საბჭო კვლავ განიხილავდა სირიის საჩივარს ისრაელის წინააღმდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაქვეყნა დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსის გენერალ ბენიკეს წერილი, რომელშიც იგი იუწყება, რომ სამუშაოები დემილიტარიზებულ ზონაში დროებით შეაჩერა ისრაელმა, როგორც ეს გათვალისწინებულია უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით.

შემდეგ გამოსულმა სირიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელის ხელისუფლებმა დემილიტარიზებულ ზონაში სამუშაოების დაწყებით დაარღვიეს სირიასა და ისრაელს შორის დაზავების შესახებ 1949 წელს დადებული შეთანხმება.

სხდომის მსვლელობაში ორივე ქვეყნის წარმომადგენელნი რამდენჯერმე გამოვიდნენ თავიანთი პოზიციების დასაცავად.

სირიის წარმომადგენლის წინადადებით უშიშროების საბჭომ დაადგინა მოწვეულ იქნას დაზავების პირობების შესრულების მეთვალყურე ორგანიზაციის შტაბის უფროსი გენერალი ბენიკე, რათა მონაწილეობა მიიღოს უშიშროების საბჭოში ამ საკითხის შემდგომ განხილვაში.

დაიდო ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო შეთანხმება

პეკინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ პეკინში ხელი მოაწერეს ჩინეთ-იაპონიის ახალ სავაჭრო შეთანხმებას. ეს შეთანხმება, მსგავსად იმისა, რომელიც დადებული იყო 1952 წლის 1 ივნისს, ითვალისწინებს საქონლის გაცვლას თანასწორობისა და ურთიერთ ხელსაყრელობის საფუძველზე. ვაჭრობის მოცულობა დაწესებულია 30 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით თვითეულის მხრივ.

ჩინეთის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერეს ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის თავმჯდომარემ ნან ხან-ჩენმა, ლუ სიუი-ჯანმა და სხვ.

იაპონიის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერეს იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის ხელშემწყობი იაპონიის პარლამენტის ლიგის დელეგაციის მეთაურმა მასანოსუკე იკედამ, დელეგაციის მეთაურის მოადგილეებმა ნაცუო ეტომ, კეი ზოასიმ, ტაკაიკი ნაკამურამ და დელეგაციის წევრებმა.

ავსტრიის მილიტარიზაციის შედეგები

ვენა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). 29 ოქტომბერს ავსტრიის პარლამენტმა დაიწყო 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

კამათში გამოსულმა „ავსტრიის სახალხო ოპოზიციის“ წარმომადგენელმა ჰონერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც ბიუჯეტის პროექტიდან ჩანს, მთავრობის პარტიები არ აპირებენ შეუმსუბუქონ სიმძიმე მოსახლეობის უმრავლესობას და, პირველ რიგში, მუშათა კლასს. ჰონერმა მიუთითა მსაობრივ დათხოვნაზე, რაც ავსტრიის სხვადასხვა საწარმოში ხდება ეგრეთწოდებული „წარმოების რაციონალიზაციის“ შედეგად. ორი წლის განმავლობაში 1951 წლის სექტემბრიდან 1953 წლის სექტემბრამდე უმუშევრობა ავსტრიაში გადიდდა 93 პროცენტით. იზრდება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. ამის შედეგად კლებულობს მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი. ამავამად მთავრობას განზრახული აქვს საოკუპაციო გადასახადის აკრეფის შედეგად მიღებული სახსრების მეტი ნაწილი გამოიყენოს ავსტრიის არმის შესაქმნელად. მთავრობის პარტიები არც კი ფიქრობენ გაიუქმონ ეს გადასახადები, მიუხედავად იმისა, რომ 1 იანვრიდან ავსტრია შეწყვეტს საოკუპაციო ხარჯების გადახდას ოთხივე სახელმწიფოსათვის.

სპორტის ამბები

საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგური შეხვედრები საზღვარგარეთის გუნდებთან

სტალინოგორდი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სილეზიის ქალაქ ხოუვეში სასპორტო საზოგადოება „უნიას“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა და პოლონელ ფეხბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება.

საზოგადოება „სპარტაკის“ მოსკოვის გუნდი, რომელიც პოლონეთში ჩამოვიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების ერთთვიურთან დაკავშირებით, შეხვდა სტალინოგრუდის სავოევოდოს ნაკრებ გუნდს.

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა სპარტაკელთა უპირატესობით. შესვენებამდე საბჭოთა ფეხბურთელებმა ორი ბურთი გაიტანეს პოლონელთა გუნდის კარში. შეჯიბრების მეორე ნახევარში პოლონელი სპორტსმენები უფრო ენერგიულად თამაშობდნენ. მათ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. მაგრამ სპარტაკელებმა თამაშის ბოლომდე მასპინძელთა კარში გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი.

შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3 : 2.

ბერლინი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ერფურტში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდსა და ერფურტის ფეხბურთელთა გუნდს „ტურბინს“ შორის. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2 : 1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

ჰელსინკი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა საზოგადოება „ზენიტის“ ლენინგრადის გუნდსა და ქალაქ ჰელსინკის გუნდს შორის (ფაქტიურად ამ გუნდში თამაშობდა ფინეთის ნაკრები გუნდის თითქმის ყველა მოთამაშე).

„ზენიტის“ მარჯვენა შუამარბმა მარიუტინმა მეოთხე წუთსვე გაიტანა პირველი ბურთი ფინეთის გუნდის კარში. მე-17 წუთზე „ზენიტის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბონდარენკომ მეორე ბურთი გაიტანა.

მეორე ტაიმში წარმატება ვერ მოიპოვა ვერც ერთმა გუნდმა და შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2 : 0 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

საბჭოთა და პოლონელი შტანგისტების ამხანაგური შეჯიბრება

ვარშავა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ვარშავაში გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა პროფკავშირების შტანგისტების გუნდმა, რომელიც პოლონეთს ჩამოვიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების ერთთვიურთან დაკავშირებით, და პოლონელ შტანგისტთა ნაკრებმა გუნდმა. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ორივე ხელით აჭიმვაში, ატაცსა და კვრაში.

ყველა წონითს კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა შტანგისტებმა.

შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვა საბჭოთა შტანგისტმა, სპორტის ოსტატმა ნიკოლოზ კოსტილევმა. ატაცში მან ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა, უჩვენა შედეგი 118,7 კილოგრამი. წინათ ამ წონითს კატეგორიაში მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა საბჭოთა სპორტსმენ ივანოვს და უდრიდა 118 კილოგრამს.

პოლონელმა სპორტსმენმა ი. ფუსმა პოლონეთის ორი რეკორდი დაამყარა. მან ატაცში მიაღწია შედეგს 95,3 კილოგრამს, ოლიმპიურ სამეიდში — 305 კილოგრამს.

პოლონური პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ძალოსნების ოსტატობას.

თბილისი



ახალი სასპორტო დარბაზი

კვირას, 1 ნოემბერს, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ახალი ძვირფასი სადღესასწაულო საჩუქარი — შესანიშნავი სასპორტო დარბაზი მიიღეს. ეს დარბაზი თავისი მოცულობით და მოწყობილობით ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. აქ შეიძლება მოეწყოს შეჯიბრება ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფრენბურთში, ფარიკაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში და სპორტის სხვა სახეობებში.

სასპორტო დარბაზის საზეიმო გახსნას დაესწრო ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ტრადიციული სპარტაკიადის დაწყება. ლამაზად იყო მორთული დარბაზი. გაიმართა მუშა სპორტსმენთა პარადი. ალამი აღმართეს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მოწინავე სპორტსმენებმა.

ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ დარბაზის მშენებლებს. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტსმენებმა სასპორტო საზოგადოება „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშებაში მოპოვებული წარმატებისათვის მიიღეს ჯილდოები.

მუშა სპორტსმენთა ზეიმში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებმა, ჩემპიონებმა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატებმა და დამსახურებულმა ოსტატებმა. გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ჩატარდა შეჯიბრება კალათბურთში და ფრენბურთში.

სურათზე: თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ახალი სასპორტო დარბაზი.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ხილი, ბოსტნეული სადღესასწაულოდ

„თბილხილბოსტნეულბრობამ“ სადღესასწაულოდ ქალაქის მოსახლეობისათვის შემოზიდა და თავისი სისტემის მაღაზიებში გაჰყიდის 200.000 ცალ ლიმონს, 660.000 ცალ მანდარინს, 150 ტონა ვაშლს, 60 ტონა ხურმას, 50 ტონა ტომატს, ტყემალს და სხვადასხვა საწებელას, 50 ტონამდე ჩურჩხელას, მურაბას, ყურძენს, 100 ტონა თაფლს.

გარდა ამისა, გაიყიდება 500 ტონა კარტოფილი, 100 ტონა კომბოსტო, 100 ტონა ჭარხალი, 150 ტონა ხახვი და სხვ.

„კონსერვტრესტის“ მაღაზიებს სადღესასწაულოდ ფართო ასორტიმენტით ექნება 300.000 ქილა მურაბა, კომბოტი, სხვადასხვა ბოსტნეულის კონსერვი, 50 ტონა ვაშლი, 8 ვაგონი მანდარინი.

ფეხბურთი

კვირას თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება თბილისისა და ერევნის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. შეჯიბრება მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2 : 1.

სიმფონიური კონცერტების ზამთრის სეზონი

კონსერვატორიის დიდ დარბაზში 1 ნოემბერს კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტით საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ გახსნა სიმფონიური კონცერტების ზამთრის სეზონი.

ო. თაქთაქიშვილის დირიჟორობით შესრულებულ იქნა მისივე სიმფონია № 1, საფორტეპიანო კონცერტი (როიალის პარტიას ასრულებდა ა. იოხელესი) და სიმფონიური მინიატიურები.

ა. იოხელესის კონცერტი

რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მუსიკოს შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის პიანისტ ა. იოხელესის კონცერტი. პროგრამა მიეძღვნა ა. სკრიაბინის ნაწარმოებებს. პიანისტმა შეასრულა მე-2 და მე-9 სონატები, 24 პრელუდია და 10 პოემა. კონცერტს წარმატება ჰქონდა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ა. წ. 17 ნოემბერს დღის 3 საათზე **ოლიმპიანტე ივანეს-ძე ლომსაძე** თემაზე: **„სათესლის მორფოლოგიური ცვლილებანი ექსპერიმენტალური ალიმენტარი დისტროფიის დროს და ამ ცვლილებათა უკუქცევადობა კვების აღდგენის შემდეგ“.**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. ბ. ჯორბენაძე** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ი. მ. ზაალიშვილი.**

ა. წ. 24 ნოემბერს დღის 3 საათზე: 1. **ნიკოლოზ რაჟდენის-ძე ჯანდიერი** თემაზე: **„ფილტვის ჩირქოვანი პროცესების ეთიოპათოგენეზი, კლინიკა და მკურნალობა“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **დ. ვ. ოსელიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მ. კ. ჩაჩავა.**

2. **იაგუბ ალი ოღლი კასუმოვი** თემაზე: **„К гистопатологии и этиопатогенезу приобретенной глухонемоты“.**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. ბ. ჯორბენაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. კ. ჩარგეიშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 1953 წლის 4 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) აწყობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ნ. ა. ცაგოლოვის საჯარო ლექციას თემაზე: „ნ. გ. ჩერნიშევსკის ღვაწლი ეკონომიურ მეცნიერებაში“.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

3 ნოემბერს	**ჟ. ბიზე — კარმენი**
4 ნოემბერს	**დ. თორაძე — მშვიდობისათვის**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება **მარინე არქიფოს ასულ კანდელაკის** გარდაცვალებას.

ძმები ერმილე და მიხეილ ოჯახებით იუწყებიან **დავით თედორეს-ძე თოდრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-XI სოფელ წითელმთაში (ბახარაძის რაიონი).

მეუღლე ანა, შვილები ეთერ, ნათელა, ვალერიან, სიძე ს. ხატისკაცი, რძალი თამარ, შვილიშვილები იამზე, რეზო იუწყებიან **საბა ნიკოლოზის-ძე მაღრაძის** გარდაცვალებას.

ძმა გიორგი, და ანა ბეჟანიშვილები, რძალი გ. მგელაძე-ბეჟანიშვილი შვილით, სიძე ალექსანდრე ფიცხელაური შვილებით იუწყებიან **ალექსანდრე დიმიტრის-ძე ბეჟანიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI გორში, გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 54.

ბიძები ვალერიან, გიორგი, ბიცოლა მარო, ბიძაშვილები ელეონორა, ელენე, გულნარა, ოთარ, შალვა, გრიგოლ კანდელაკები, მამიდა თამარ იაშვილი ოჯახით იუწყებიან **მარინე კანდელაკის** გარდაცვალებას.

შვილი ეკატერინე, სიძე სერგო, შვილიშვილები ლილი, ლეილა, ვერა, მარინე, გივი, გურჯი ყორეოლიანები იუწყებიან **ირინე ესტატეს ასულ ხაზარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI სოფელ ბაშში (სამტრედიის რაიონი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა და ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ესტატე გიორგის-ძე გუდავას** გარდაცვალებას.

ჩაის მექანიზაციის სპეციალური საინსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლები იუწყებიან **კონსტანტინე იორდანეს-ძე კვანტალიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-XI, 8 ს. გამოსვენება 5-XI, 5 ს. თოფურიძის ქ. № 63 (ლენინის რაიონი).

ბიძა ნიკოლოზ, ბიცოლა თამარ, ბიძაშვილები ნიკოლოზ, გიორგი ვახანიები იუწყებიან **ლეილა გალაქტიონის ასულ ვახანიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-XI, 5 ს. კერესელიძის, ქ. № 33.

მეუღლე აგრაფინა, შვილები ტოგო, რაისა, ზურაბ, რძალი ზ. მაგომეტბეკოვა, სიძე აკაკი შელეგია და შვილიშვილები იუწყებიან **ესტატე გიორგის-ძე გუდავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-XI ქ. ცხაკაიაში, გამოსვენება ჭავჭავაძის ქ. № 69.

მშობლები თამარ ჯაბუშანური, გალაქტიონ ვახანია, ძმა ჯუმბერ, ბიძები ანტონ, ვლადიმერ ვახანიები, მათე თუმანანული ოჯახებით იუწყებიან **ლეილა გალაქტიონის ასულ ვახანიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-XI, 5 ს. კერესელიძის ქ. № 33.

შვილები ნინო, ეუეუნა, ბენო, როზა, ძმები კონსტანტინე, გიორგი, და ზოია, სიძე ო. თირქია, რძალი ნადია შვილებით იუწყებიან **ვიქტორია კირილეს ასულ ჩიტაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-XI, 8 ს. გამოსვენება 4-XI, 4 ს. ფაბრიკის ჩიხი № 1.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, წამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარ